ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ეთერი ღვინიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი:

მოსამართლეთა უვადოდ განწესება სასამართლო რეფორმის ჭრილში

ხელმძღვანელი : **ნანა ჭიღლაძე**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

ანოტაცია

თავისუფალი და გამართული სასამართლო სისტემა ქვეყნის ჯანსაღი ფუნქციონირების ქვაკუთხედია. იმისათვის რომ ამ სახის სასამართლო სისტემა მივიღოთ, აუცილებელია გვქონდეს სასიკეთო ცვლილებებისათვის მუდმივი მზაობა. ჩვენი საკვლევი თემაც სწორედ ამ სახის ცვლილებას, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას, შეეხება.

ამ ცვლილებამ გაჟღერებისთანავე მკვეთრი ნეგატიური გამოხმაურება ჰპოვა. ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ თუ რამდენად დამსახურებულია ეს ნეგატიური გამოხმაურება და შეუძლია თუ არა მოგვაყენოს რაიმე სახის ზიანი მოსამართლეთა უვადოდ განწესებამ. იმ შემთხვევაში კი თუ არსებობს უარყოფითი შედეგის მოტანის საფრთხე, როგორ შეგვიძლია მისი თავიდან აცილება და ამ ყველაფრიდან მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთო შედეგის მიღება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით დეტალურად გავაანალიზოთ ჩვენი ქვეყნის მზაობა მოცემული ცვლილებებისათვის და სხვადასხვა დასავლური ქვეყნების მაგალითზე განვიხილოთ რამდენად შეიძლება მოსამართლეების უვადოდ დანიშნვა მისაღები იყოს ჩვენი სასამართლო სისტემისათვის და რამდენად შეუძლია ამ ცვლილებას მის უკეთ ფუნქციონირებას მისცეს ბიძგი.

Annotation

The free and organized judicial system is one of the main reason of country's healthy functioning. In order to get this kind of court system, it is necessary to have permanent readiness for good changes. Our research topic is about this kind of changes, the lifelong appointment of judges.

As soon as this change was announced, there was sharp negative feedbacks. Our goal is to find out whether the negative feedbacks are real and whether it can make any kind of damages for the Georgian legal system, and if it can cause any harm, how can we avoid the possible effects and get only good results?

In this work we will try to analyze the readiness of our country for these changes and we will consider the example of various western countries, how can judges be able to make a lifetime appointments, how can we use it in our country and how can this changes make Georgian court system functioning better.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

1. ქართული სასამართლო სისტემა და მოსამართლეების არჩევისა თუ დანიშვნის წესი უძველესი დროიდან დღემდე 7

1.1 მოსამართლეთა არჩევის ტრადიცია უძველესი დროიდან გვიანფეოდალურ ხანამდე 7

1.2 საქართველოს სასამართლო სისტემა პირველი რესპუბლიკის პერიოდში 11

1.3 საქართველოს სასამართლო სისტემა და მოსამართლეობის არჩევის წესი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ 11

2. მოსამართლეთა არჩევა თანამედროვე საქართველოში 16

2.1 სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა 16

2.2 სასამართლო სისტემის რეფორმის მეორე ტალღა 19

3. წამყვანი დასავლური ქვეყნების ტრადიციები მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით, მათი შედარება ქართულ სისტემასთან და მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შემთხვევები დასავლური ქვეყნების მაგალითზე. 29

3.1 მსოფლიოს წამყვანი სამართლებრივი სისტმების მქონე ევროპულ ქვეყანათა არჩევანი მოსამართლეთა დანიშვნისას 29

3.2 მოსამართლეების დანიშვნა საქართველოში. 35

3.3 საზოგადოების გამოხმაურება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ხარვეზების შესახებ დასავლეთში 37
3.4 რეკომენდაციები 39
დასკვნა 40
გამოყენებული ლიტერატურა 43

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებას, კერძოდ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში შესულ ცვლილებას-მოსამართლეების უვადოდ დანიშვნასთან დაკავშრებით და ამ მოვლენის უარყოფით და დადებით მხარეებს. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე განვიხილოთ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შემთხვევები და გამოვარკვიოთ თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია ამ პრაქტიკის დანერგვას საქართველოში.

მოგეხსენებათ ბოლო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ცვლილების ნიადაგზე, აქტიურად განიხილება მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხი. მისით დაინტერესებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოებაც და პოლიტიკურ სექტორიც. მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხი, რაღა თქმა უნდა, უშუალოდ მოსამართლეებისათვისაც საინტერესო თემას წარმოადგენს.

ამ საკანონმდებლო ცვლილებას უამრავი მხარდამჭერი და ოპონენტი გამოუჩნდა, რის გამოც ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ მოცემული საკითხის შესახებ მიმოხილვის გაკეთება, რათა უკეთ გამოგვერკვია თუ რამდენად მისაღებია მსგავსი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს მსგავსი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნისათვის.

პირველ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ ქართული სამართლებრივი სისტემის ტრადიციას უძველესი დროიდან დღემდე. ჩვენ შევეცდებით მიუხედავად წერილობითი წყაროების სიმცირის გავაანალიზოთ მისი ჩამოყალიბების პროცესი და გამოვარკვიოთ თუ რა გზა გამოიარა ქართულმა სამართალმა წინარესახელმწიფოებრივი ხანიდან დღემდე და თუ როგორ მივიღეთ დღევანდელი სასამართლო სისტემა როგორც შედეგი.

ისტორიული რეტროსპექტიული მიმოხილვის წყალობით შევეცდებით გამოვყოთ „სამართლის აღმსრულებლის“ არჩევის ტრადიციები და მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადები, რის შედეგადაც შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა რამდენად ორგანული შეიძლება იყოს მოცემული კანონი ჩვენი რეალობისათვის. ბოლოს კი შევეცდებით გამოვკვეთოთ თუ

რა არის ჩვენი და ჩვენი ქვეყნის როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების მიზანი.

მეორე თავში განხილული იქნება წამყვანი დასავლური ქვეყნების მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებული სამართლებრივი ტრადიციები და მათი არჩევანი- თუ რა ვადით ინიშნებიან მოსამართლეები მათთან. ასევე მაგალითად მოვიყვანთ ქვეყნებს, რომელებიც თავისი ისტორიითა და განვლილი სამართლებრივი გზით, ასე თუ ისე ენათესავება ქართულ სამართლებრივ სისტემას და განვიხილავთ მათ არჩევანს ზემოთ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ ასევე შევეცდებით გამოვარკვიოთ თუ რა გზით მივიდნენ მოცემული ქვეყნები ამ გადაწყვეტილებებამდე და თუ რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა ქვეყნის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

წინამდებარე ნაშრომში, ასევე შეძლებისდაგვარად გამოვიკვლევთ და მკვეთრად გამოვყობთ თუ რა ბერკეტებია გამოყენებული ამა თუ იმ ქვეყნებში, უვადოდ დანიშნული მოსამართლეების შესაძლო არაკეთილსინდისიერების გასაკონტროლებლად და რამდენად შეიძლება მსგავსი ტიპის ბერკეტების გამოყენება ჩვენს სასამართლო სისტემაშიც.

დასკვნის სახით კი შევეცდებით გარკვეული სახის რეკომენდაციების შემოთავაზებას, რომლებიც განხილული საკითხებიდან გამომდინარე მართებულად შეიძლება ჩავთვალოთ.

1. ქართული სასამართლო სისტემა და მოსამართლეების არჩევისა თუ დანიშვნის წესი უძველესი დროიდან დღემდე

1.1 მოსამართლეთა არჩევის ტრადიცია უძველესი დროიდან გვიანფეოდალურ ხანამდე

სასამართლო საქმის წარმოება იურისპრუდენციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც მეშვეობითაც შეგვიძლია გავარკვიოთ მატერიალური და საპროცესო სამართლის დადებითი და უარყოფითი მხარეები. [1]

ქართულ სამართლებრივ სისტემას დიდი ტრადიცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იწყება, ვფიქრობ საგულისხმო და მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორი იყო ქართული „სასამართლო“ წინასახელმწიფოებრივ ხანაში და თუ რა პრინციპით ირჩევდნენ ამ პერიოდში მსაჯულებს.[2]

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სამართლის ისტორია და „მოსამართლეების“ შერჩევის ტრადიცია, ოდითგანვე ეხმიანებოდა ჩვენი კვლევის მთავარ პრობლემას- მოსამართლეები ინიშნებოდნენ უვადოდ მათი გამოცდილებისა და საზოგადოებაში მათი ადგილის საფუძველზე, სანამ არ გარდაიცვლებოდნენ ან სანამ მემკვიდრეს არ დაუთმობდნენ საკუთარ ადგილს.

ძველი ქართული სასამართლო, სხვა ქვეყანათა ძველი სამართლებრივი სისტების მსგავსად იყო მოწყობილი და არ მიჯნავდა ერთმანეთისაგან სისხლისა და სამოქალაქო სამართალს. როგორც უკვე ვახსენეთ, მიუხედავად წერილობითი წყაროების სიმწირის,[3] ქართული სამართლის ისტორიის შესახებ შეძლებისდაგვარად გაბმულ და ინფორმატიულ ინფორმაციას გვაწვდის ივანე ჯავახიშვილი და შემდგომში ვალერიან მეტრეველი, რომელთა ნამუშევრებისთვის თვალის მიდევნებითაც გარკვეული სახის გაბმულ ლოგიკურ ჯაჭვს ვიღებთ ქართული სამართლის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, გვ.133 თბ. 1928

[2] მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, გვ 394, თბ. 2003

[3] დღემდე წერილობითი ფორმით შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ქართული სამართლებრივი ძეგლი, ესენია: ბექა-აღბუღას სამართალი, ხელმწიფის კარის გარიგება, ვახტანგ მეექვსის სამართალი, დასტურ-ლამალი.

თავდაპირველად, უძველესი ქართული სამართლებრივი ჩანასახის მიზანს, მოქიშპეთა შორის დავის დასაწყისშივე უმტკივნეულოდ, კონსტრუქციულად მოგვარება წარმოადგენდა, რათა ეს უთანხმოება არ გადაზრდილიყო დესტრუქციულ-კონფლიქტურ მდგომარეობაში.

იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირება გვარის შიგნით ხდებოდა მას გვარის უფროსი წარმომადგენელი აგვარებდა, ხოლო თუ იგივე მოცემულობას გვარებს შორის ვხვდებოდით საქმეში სამედიატორო სასამართლო ერთვებოდა. მედიატორის მიზანიც იგივე იყო, მოეგვარებინა უთანხმოება კონფლიქტის გარეშე და დახმარებოდა გვარებს დავის გადაწყვეტაში.[4] როგორც ამ ისტორიიდან ვარკვევთ, მოსამართლეს ამ ხანაში არ ირჩევდნენ და ეს ფუნქცია ენიჭებოდა გვარის უფროს წევს, ის იღებდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, რომელიც სავადაუდოდ გამყარებული იყო მისი სიბრძნითა და ასაკთან ერთად მიღებული გამოცდილებით. ხოლო რაც შეეხება მედიატორებს, მათი დანიშვნის სისტემის შესახებ, იმის შესახებ თუ რა კრიტერიუმით ირჩეოდნენ ისინი, ინფორმაციას არ ვხვდებით წერილობით წყაროებში.

აღსანიშნავია ის მოცემულობა, რომ გვარის უხუცესი უვადოდ ასრულებდა მოსამართლის მოვალეობას, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ფუნქცია გადადიოდა გვარის სხვა უხუცეს წარმომადგენელზე. არსებობდა თუ არა რაიმე სახის ბერკეტი გვარის უხუცესის უფლებამოსილების შესაზღუდად ან შესაწყვეტად ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს.

მომრიგებლის ფუნქციას თავის თავზე ასევე, სახალხო კრებაც იღებდა, თუმცაღა მის ძირითად მიზანს სამართალწარმოება არ წარმოადგენდა.

მსგავსი მოვალეობებით იყვნენ დატვირთულნი უმაღლესი ადმინისტრაციული უფლების მქონე პირები და სამხედრო ხელისუფალნიც, ისინიც, ადრეული ხანის მსგავსად ამ მოვალეობას უვადოდ ასრულებდნენ, როგორც ამას ალ. ვაჩეიშვილი გვიამბობს.[5]

ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ შედარებით დახვეწილი სახე შეიძინა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ხანაში. ქვეყნის მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო სისტემას ექვემდებარებოდა, ეს იყო სამეფო სასამართლო, რომლის უმაღლესი მოსამართლეც მეფე იყო და უშუალოდ განიხილავდა საქმეებს, ასეთ სასამართლოს „სამეუფეო სასამართლო“ ეწოდებოდა, მაგრამ ეს იყო იქამდე, სანამ ქვეყნის ტერიტორია და მოსახლეობა გაიზრდებოდა და შემდეგ ეს საქმე სპეციალურ საბჭოს გადაებარა.[6] მეფე მხოლოდ ძალზედ გახმაურებულ და მნიშვნელოვან საკითხებსღა განიხილავდა.

---

[4] მეტრეველი ვ., იგივე.

[5] მეგრეველი ვ., იგივე გვ. 395

[6] ივ. ჯავახიშვილის ცნობით ასეთ საბჭოს ეწოდებოდა: „სააჯო კარი “, „სამსჯავრო სახლი “ან უბრალოდ „საბჭო და სხვ. ეწოდებოდა.

ხოლო მეორე სახის სასამართლო გახლდათ საკათალიკოსო სასამართლო. სწორედ საკათალიკოსო სასამართლო განიხილავდა საკითხებს, რომლებიც ეკლესიის იურიზდიქციაში შემავალ საკითხებსა და დავებს ეხებოდა. ივანე ჯავახიშვილის ცნობით ამ სახის სასამართლოს „სასჯულო სამრებლოი“ [7]ერქვა.

ისტორიული წყაროებიდან[8] ვარკვევთ, რომ ამ პერიოდში უმაღლეს სასამართლო სტრუქტურას, უზენაეს სასამართლოს, სააჯო კარი წარმოადგენდა[9], რომელსაც სათავეში რიგითობით მეფის შემდეგი პირი მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი ედგა. როგორც ხელმწიფის კარის გარიგებაში ვკითხულობთ, მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელს გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად არ გამოჰქონდა და მას ზარდახანის მწიგნობარი და საწოლის მწიგნობარი ეხმარებოდნენ.[10]

გვიანფეოდალურ ხანაში, მოგეხსენებათ, მონღოლთა შემოსევის შედეგად საქართველო დაშლილი იყო სამეფო სამთავროებად და თითოეულ სამეფო სამთავროს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განსხვავებული სამართლებრივი თავისებურებები ახასიათებდა.

მას შემდეგ რაც ქართლი და კახეთი გაერთიანდა, ლოგიკურია, რომ მათი სამართლის სისტემაც საერთო გახდა.[11] ამ პერიოდშიც, როგორც ადრეულ ხანაში, მეფე ითვლება უმაღლეს ხელისუფლად და მსაჯულად. ის განიხილავდა შემოსულ საჩივრებს და მას გამოჰქონდა განაჩენი. არ არსებობს არანაირი წყარო იმის შესახებ თუ როგორ ან სად საჩივრდებოდა განაჩენი იმ შემთხვევაში, თუ მომჩივარი მისით უკმაყოფილო იყო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მეფე იყო უმაღლესი სამართლებრივი ხელისუფალიც და ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს. მისი როგორც მეუფის განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.[12]

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დღემდე შემორჩენილ სამართლის წიგნში, ვახტანგ მეექვსის სამართალში ვხვდებით ინფორმაციას სასამართლო იურისდიქციების გადანაწილების შესახებ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, საქმეებს განიხილავდა საკათალიკოსო და სამეფო სასამართლო, უმეტესწილად იმის მიხედვით თუ რას შეეხებოდა ესა თუ ის დანაშაული.

მეფის ერთგვარი თანაშემწე, შემორჩენილი წყაროს მიხედვით იყო მდივანბეგი, რომელიც წვრილმან დანაშაულზე მუშაობდა.[13]

---

[7] მეტრეველი ვ. იგივე. გვ. 395-396

[8] ბექა-აღბუღას სამართალი, ხელმწიფის კარის გარიგება, ვახტანგ მეექვსის სამართალი, დასტურ-ლამალი.

[9] მეტრეველი ვ. იგივე

[10] ექვ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება , სტამბა“სახალხო საქმე“ ტფ. 1920 წ.

[11] ივ. სურგულაძე, სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში, თსუს შრომები, ტ.47, თბ., 1947, გვ. 231-232

[12] ივ. სურგულაძე, იგივე. გვ. 232

[13] ივ. სურგულაძე, იგივე. გვ. 235

ამ პერიოდის სასამართლოს სამდივნო ეწოდებოდა და მეფე სამდივნოში, შემორჩენილი წყაროს მიხედვით, კვირაში ორჯერ მიდიოდა საქმეთა განსახილველად, მაგრამ მას ასევე უწევდა ამ ორი დღის გარდა, სამდივნო სახლის გარეშე განეხილა საქმეები.

მეფის უმაღლეს სასამართლო ხელისუფლად მოვლინება მკვლევართა აზრით, მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და ურჩ ფეოდალთა თუ ურჩობის მსურველ ფეოდალებისათვის იმის ჩვენებას თუ რამდენად ძლიერი იყო მეფე და მისი გავლენა.[14]

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა დარბაზიც. მისი მთავარი ფუნქცია, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით არ იყო სამართალწარმოება. დარბაზი განიხილავდა ძალიან მძიმე საქმეებსაც, ეს ხდებოდა უმეტესწილად მეფის თანხლებით ან მეფის ნებართვილით. რიგ შემთხვევებში დარბაზის მიზანს წარმოადგენდა ფეოდალთა შორის კონფლიქტთა უმტკივნეულო მოგვარება და მათი კონტროლი.

საქართველოს ისტორიაში გვაქვს შემთხვევაც, როდესაც დედოფალი გვევლინება მოსამართლედ. ეს ხდება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ერეკლე მეორის მეუღლე, დედოფალი დარეჯანი, თანრიგით მეორე მოსამართლედ იწოდება და იღებს უფლებას მიიღოს სასამართლო განხილვებში მონაწილეობა.

დედოფალს შეუძლია სამდივნოსთან ერთად, ან მათ გარეშე, დამოუკიდებლად განიხილოს დავა, მაგრამ ის მოიაზრება მეფის შემდეგ რიგით მეორე მოსამართლედ და ნებისმიერი დავის განხილვისას მან აუცილებელია მიიღოს მეფისაგან ნებართვა ამ დავის განხილვაზე.

გვიანფეოდალურ საქართველოში სამართლის აღმსრულებლის ფუნქციას ფეოდალებიც ითავსებდნენ, მეფის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მათ შეეძლოთ ეს ქმედება განეხორციელებინათ მხოლოდ მათ საფეოდალოებში და მხოლოდ და მხოლოდ მეფის რეკომენდაციების მკაცრი გათვალისწინებით.

ასევე მნიშვნელოვან როლს ითავსებდა საკათალიკოსო სასამართლოც, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ის განიხილავდა დავებს, რომელიც უშუალოდ მის იურისდიქციაში შემავალ პირთა საქმეებს ეხებოდა. ასევე მის მიწაზე მომხდარ დანაშაულებს და სხვა. ეკლესიას, როგორც ჩვენი ისტორიის თითქმის ყველა ეტაპზე ამ ხანადაც უდიდესი როლი ეჭირა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მას, ხშირად სთხოვდნენ ამა თუ იმ დავის გადაწყვეტაში დახმარებას. ეკლესია ასევე ერეოდა ცოლ-ქმარს შორის დავაში, თუ ეს დავა შეეხებოდა ქორწინების დასრულებას ან რაიმე მსგასს.

[14] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ1, გვ. 119

მოცემულ შემთხვევაშიც სამართლის აღმსრულებელ პირად უმაღლესი სასულიერო პირები გვევლინებოდნენ.

1.2 **საქართველოს სასამართლო სისტემა პირველი რესპუბლიკის პერიოდში**

როგორც უკვე მრავალჯერ ითქვა, ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ საკმაოდ ვრცელი და პრობლემური გზა გამოიარა, სანამ დღევანდელ დღემდე მოვიდოდა. მრავალი მტრისა და ჩვენი ისტორიის წაშლის მსურველთა წყალობით თითქმის არ გვაქვს შემორჩენილი წერილობითი ისტორიული ძეგლები, რომლებიც ქართულ სამართლებრივ სისტემას აღწერენ, თუმცაღა, ექვთიმე თაყაიშვილის და მისთანათა წყალობით, გადარჩა ზემოაღნიშნულის სულ რამოდენიმე ნიმუში. ამ პრობლემებიდან გამომდინარე ქართული სამართლის ისტორია ნაკლებად ინფორმატიულია მოსამართლეთა დანიშვნის თუ არჩევის წესის შესახებ.

რეალურად, მეოცე საუკუნეში იწყება ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია, რაც ერთხელ უკვე ავღნიშნეთ. 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებელმა საქართველოს მოსახლეობამ გადაწყვიტა შეემუშავებინა საკუთარი კონსტიტუცია, რომელშიც ხაზგასმით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ქართული ტრადიციები, საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა სიმრავლე და ყველა ის ადათ-წესი რომელიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. როგორც ყველას კარგად მოგვეხსენება, მოცემული კონსტიტუცია, ოთხ დღიანი კონსტიტუციის სახელითაა ცნობილი, რადგან მისი შემუშავება სამ წელს გაგრძელდა, როგორც იქნა დამტკიცდა კიდეც 1921 წლის 21 თებერვალს, რომელმაც, საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს იძულებითი შეერთების გამო ვერ მოახერხა ეფუნქციონირა.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ჩვენთანაც, როგორც დანარჩენ რესპუბლიკებში ფუნქციონირება დაიწყო საბჭოთა კონსტიტუციამ.

1.3 **საქართველოს სასამართლო სისტემა და მოსამართლეობის არჩევის წესი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ**.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგად შეიცვალა და მოდერნიზდა 1978 წლის საბჭოური კონსტიტუცია და მივიღეთ ახალი კონსტიტუცია საბჭოთა იდეალების გარეშე.

1991 წელს, არაკონსტიტუციური გზით-სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, შეწყდა პრეზიდენტისა და დროებითი მთავრობის უფლებამოსილება, 1992 წლის 6 იანვარს ძალაუფლება ხელში ჩაიგდო სამხედრო საბჭომ, 1992 წლის 21 თებერვალს კი გამოსცა

განკარგულება 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. აღდგენილმა კონსტიტუციამ, 1921 წლის კონსტიტუციის მსგავსად, ვერ მოახერხა ეფუნქციონირა, რადგან იმ პერიოდისათვის, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადა გამო კონსტიტუციას მხოლოდ და მხოლოდ ფიქტიური ფუნქცია ენიჭებოდა.

1921 წლის კონსიტუციის, 76-ე მუხლის თანახმად დგინდება, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სასამართლო ინსტიტუტს სენატი წარმოადგენს, რომელიც არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ. ის ამავდროულად წარმოადგენს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს. იმდროინდელი კონსტიტუცია გამორიცხავდა რაიმე ისეთი მართმსაჯულებრივი ორგანოს შექმნას, რომელიც არ იქნებოდა საერთო სისტემის ნაწილი.[15]

1921 წლის კონსტიტუციით ასევე მკაფიოდ იყო განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლოდა და იკრძალებოდა რაიმე სახის ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში ნებისმიერი ორგანოს მხრიდან. ასევე მკაფიოდ იყო განსაზღვრული საქმეთა განხილვის საჯაროობის აუცილებლობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხთა განხილვისას კონსტიტუცია ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაშვებასაც. ამ დაშვების შემოღება საკმაოდ დიდი და საინტერესო ნაბიჯი იყო, რადგან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თავის თავში ცხადად გულისხმობს საზოგადოების ჩართულობასა და ინტერესს სამართლებრივი სამყაროს მიმართ.

1995 წლის კონტიტუციაში ეს ინსტიტუტი გათვალისწინებული არ ყოფილა სანამ 2004 წელს არ მოხდა მისი დაბრუნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნებისმიერ სამართლებრივ აქტზე ხორციელდებოდა სრული სამართლებრივი ზედამხედველობა. სასამართლო ამოწმებდა სხვადასხვა სახის აქტების კანონთან შესაბამისობას და შეუსაბამობის შემთხვევაში მას სრული უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ეს აქტები. უხეშად, რომ ვთქვათ ამ ხანაში სასამართლო ითავსებდა დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, განხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოსი, იმ დროინდელ სასამართლოს შეეძლო ნებისმიერი აქტის შესაბამისობის შემოწმება კანონთან მიმართებით.

საქართველოს იმდროინდელი კონსტიტუციის 77-ე მუხლი ხაზს უსვამს ზემოთ აღნიშნულს და ერთგვარად ადასტურებს კიდეც მას. აქ ნათქვამია, რომ სენატის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სწორედ, რომ კანონთა დაცვისათვის თვალყურის დევნება წარმოადგენს. კონსტიტუციით გათვალისწინებულია, ის რომ სენატს შეუძლია თვითმმართველი

[15] 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემა, ბათუმი 2013 წელი, გვ. 48

ორგანოების უფროსებსა და თანამდებობის პირებსაც დააკისროს სანქცია დისციპლინარული გადაცდომის ან კანონდარღვევის შემთხვევაში.[16]

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ რადგან კონსტიტუციაში მრავლად მოიპოვება მსგავსი ტიპის კონტროლის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მოგვიანებით იგეგმებოდა „საერთო სასამართლოებისთვის საკანონმდებლო კონტროლის ფუნქციის მინიჭება“[17] მაგრამ მოგეხსენებათ ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ამ დროის შემდეგ დიდი ხნით არსებობა არ დასცალდა.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1921 წლის და შემდგომი კონსტიტუცია შესაძლებელი იყო ყოფილიყო მოქნილი, მორგებული და ცვლილებებისთვის ღია, რადგან კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის ერთ-ერთი წევრი გ. გვაზავა აღნიშნავს, რომ არის შემთხვევა, როდესაც მოქალაქეს აქვს სწორედ რომ კანონიერი უფლება არ დაემორჩილოს კანონს, ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვქონდეს ამა თუ იმ კანონის არაკონსტიტუციურობასთან.[18] მოქალაქეს აქვს უფლება, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კანონს ის არაკონსტუტუციურად მიიჩნევს აღძრას საქმე სასამართლოში ამ კანონის თავიდან გადასახედად.

მოცემული კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო არ შეეზღუდა მოქალაქის თავისუფლება არალეგიტიმურად.

ხოლო რაც შეეხება მოსამართლეთა დანიშნვის წესს, ხსენებულ კონსტიტუციაში.

1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად მოსამართლე ინიშნებოდა გარკვეული ვადით, რომელსაც დაადგენდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

ხოლო 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებოდნენ 10 წლის ვადით 2010 წლამდე, ხოლო 2010 წლიდან კონსტიტუციამ განიცადა ცვლილება და 86-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, „მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[19] მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით,

[16] 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემა, ბათუმი 2013 წელი, გვ. 49

[17] 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემა, ბათუმი 2013 წელი, გვ. 50

[18] გვაზავა გ. „ძვირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა“, ტფილისი 1920წ. გვ, 97

[19] საქართველოს კონსტიტუცია, მიღების თარიღი: 1995 წლის 24 აგვისტო, 86-ე მუხლი, 2009 წლის 10 მარტის მდგომარეობით.

მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით".[20]

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონის „საერთო სასამრთლოების შესახებ" 46-ე მუხლის თანახმად მოსამართლედ შესაძლებელია დაინიშნოს შემდეგი კვალიფიკაციის მქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს ქართულ ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

მოსამართლის თანამდებობა არ შეიძლება დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ თუკი ის ნასამართლევია, მან ჩაიდინა რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომა, კანდიდატი ეწევა მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას ან დაკავებული აქვს ასეთი თანამდებობა და თუკი მან დაარღვია საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები და შესაბამისად მის მიმართ გატარდა ამავე კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (გარდა თანამდებობიდან გათავისუფლებისა) და მან 3 წლის მანძილზე გაიმეორა ახალი, ან ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.[21][22]

აღნიშნული კანონი ასევე ითვალისწინებდა შემთვევებს როდესაც შესაძლებელი იყო ერთ-ერთი კრიტერიუმის მოსამართლის მიერ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სწავლებისგან განთავისუფლება, კერძოდ, იმ შემთვევაში თუკი მოქალაქე რომელსაც სურდა აღნიშნული თანამდებობის დაკავება იყო ყოფილი მოსამართლე ის განწესებული იყო მოსამართლის თანამდებობაზე უზენაეს, რაიონულ ან/და სააპელაციო სასამართლოში კონკურსის წესით და ჰქონდა მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 18 თვის განმავლობაში, ასევე მიუხედავად იმისა რა ვადიდ ეკავა მოსამართლის თანამდებობა ან დაინიშნა თუ არა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე პირი, რომელსაც გავლილი ჰქონდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი და შეყვანილი იყო იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.[23]

თუკი მოქალაქე აკმაყოფილებდა აღნიშნული კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნებს, მას შემდეგ რაც ის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის საბჭოში წარადგენდა განაცხადს ის ჩაითვლეობდა მოსამართლეობის კანდიდატად. გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი რიგით ნომერს

[20] საქართველოს კონსტიტუცია, მიღების თარიღი: 1995 წლის 24 აგვისტო, 86-ე მუხლი, 2019 წლის 10 მარტის მდგომარეობით.

[21]საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, (ძალადაკარგულია 8/11/2009), გამოცემის თარიღი 13/06/1997, 46-ე მუხლი.

[22] საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი, მე-20 მუხლის მე-6 პუნქტი.

[23] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, (ძალადაკარგულია 8/11/2009), გამოცემის თარიღი 13/06/1997, 46-ე მუხლი.

საკვალიფიკაციო სიაში და იუსიტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის ძალადაკარგული რედაქცია ასევე ითვალისწინებდა კონკურსის გარეშე თანამდებობაზე მოსამართლის დანიშვნასაც, როდესაც მოსამართლის „გადაყვანა" ხდებოდა ქვედა ან ზედა ინსტანციის სასამართლოში მისივე სურვილით თუკი ვაკანსის არსებობის შემთვევაში გამოთქვამდა სურვილს.[24]

მოსამართლეები ინიშნევოდნენ საქართვლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ და მათი უფლებამოსილების ვადად 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განსაზღვრული იყო ათი წელი. ასვე შესაძლებელი იყო ვადის გაგრძელებაც საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის 2 ნაწილის თანახმად, თუკი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ამოიწურებოდა და მის მიერ განსახილველი საქმე დასრულებული არ იყოს შესაძლებელი იყო ვადის გაგრძელება აღნიშნული საქმის დასრულებამდე. [25]

ორგანული კანონის აღნიშნული რედაქცია ითვალისწინებდა შემთვევებს როდესაც შესაძლებელი იყო მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება, ეს შემთვევები იყო: პირადი სურვილი, წელიწადში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობასში თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობა, დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება, სასამართლოს მიერ ქმედუნარიანად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება, საქართველოს მოქალქეობის შეწყვეტა, 65 წლის ასაკის მიღწევა, „საჯარო სამსახუში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუკი მან დაარღვია აღნიშნული კანონის მოთხოვნები და შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, გარდა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და მან 3 წლის განმავლობაში განმეორებით ჩაიდინა ახალი დანაშაული,[26] უფლებამოსილების ვადის გასვლა, გარდაცვალება, სასამართლოს ლიკვიდაცია, თანამდებობრივი შემცირება, სხვა სასამართლოში დანიშვნა. დისციპლინური გადაცდომის არსებობის შემთვევაში მოსამართლის თანამდებობიდან განთავისფლება მოხდებოდა მხოლოდ მისი სადისციპლინო კოლეგიისთვის წარდგენის შემდეგ. [27]

---

[24] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, (ძალადაკარგულია 8/11/2009), გამოცემის თარიღი 13/06/1997, 47-ე მუხლი.

[25] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, (ძალადაკარგულია 8/11/2009), გამოცემის თარიღი 13/06/1997, 48-ე და 49-ე მუხლები.

[26] „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი (ამჟამად მოქმედი), გამოცემის თარიღი 11/11/1997, მე-20 მუხლი

[27] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, (ძალადაკარგულია 8/11/2009), გამოცემის თარიღი 13/06/1997, 54-ე მუხლი.

2. მოსამართლეთა არჩევა თანამედროვე საქართველოში

2.1 სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა

2005 წლის ხუთი მაისიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გაუქმდა ხუთი რაიონული სასამართლო და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო.

ამ ცვლილებამ რაღა თქმა უნდა მოსამართლეთა რაოდენობის შემცირებაც მოითხოვა. იმის შესახებ თუ რამდენად რთული იყო მათთვის მოცემული სამუშაოს შესრულება არ გვაქვს არანაირი ინფორმაცია და ამ საკითხზე თავად მოსამართლეებიც არ საუბრობენ, მაგრამ ფაქტია და ცხადია თითოეულ პერსონაზე იმაზე ბევრად მეტი დატვირთვა მოდიოდა ვიდრე იქამდე, ყველაფერს ართულებდა ის ფაქტიც, რომ

მოსამართლეთა ნაწილი ვადის გასვლის გამო ტოვებდა ხოლმე თანამდებობას და შემდეგი მოსამართლის დასანიშნად საჭირო იყო გარკვეული პროცედურების ჩატარება, რომელსაც თავისთავად დიდი დრო მიჰქონდა.[28] სწორედ ამ სახის პრობლემათა გადასაჭრელად პირველად 2005 წლის 28 დეკემბერს დაისვა საკითხი მოსამართლეთა უვადოდ დანიშნვის შესახებ. [29]

ამ საკითხს, გაჟღერებისთანავე, ბევრი მხარდამჭერი და ოპონენტი გამოუჩნდა. ოპონენტები ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამ შეიძლება სამართლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად გააუარესოს და შეიქმნას გარკვეული სახის კლანური სისტემა სასამართლოებში, რომელიც შესაძლოა გაივსოს არაკეთილსინდისიერი მოსამართლეებით, რომელთა წინააღმდეგაც შეუძლებელი იქნება რაიმე სახის ნორმალური ბერკეტის გამოყენება.

იდეის მხარდამჭერთა აზრით კი ის პრობლემა, რომელიც იქმნება ვადაგასული მოსამართლის თანამდებობიდან გადადგომასა და ახლის არჩევის პროცედურების პერიოდის გამო ძალიან მარტივად გადაიჭრებოდა და მეტი საქმის განხილვა ბევრად მარტივად მოხერხდებოდა.

მხარდამჭერები ასევე ფიქრობდნენ იმას, რომ უვადო მოსამართლეს უვადოობის სტატუსი აძლევს ბევრად მეტ დამოუკიდებლობას და ის არ არის დამოკიდებული ადამიანთა აზრზე, არ ცდილობს თავისი გადაწყვეტილებით ვინმეს კეთილგანწყობა მოიპოვოს, ის არ არის დამოკიდებული თუნდაც დროზე და არ აშინებს ვადის ნაადრევად გასვლის შემდეგ თანამდებობის დაკარგვა, რადგან მისი სამართლიანი გადაწყვეტილება შესაძლოა ვიღაცისთვის მოსაწონი არ აღმოჩნდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი როგორც უკვე აღინიშნა მიღებულ იქნა 1997 წლის 13 ივნისს და მოქმედი იყო 2009 წლის 8 დეკემრამდე. შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მოსამართლეთა დანიშვნა, განისაზღვრებოდა მათი გამწესების ვადა და თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები ამ ორგანული კანონის შესაბამსიად.

2009 წლის 8 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, რამაც ჩაანაცვლა იქამდე არსებული კანონი. აღნიშნული კანონი ითვალისწინებდა სხვა სტანდარტებს მოსამართლეებთან მიმართებით, როგორც მათ კვალიფიკაციასთან, ასევე მათი თანამდებობაზე განწესების ვადებთან და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშრებით.

---

[28] აღსანიშნავია ის ფაქტიც, 2005 წელს, საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის ორმოცდამეცრე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებდა იმას, რომ თუ მოსამართლეს უფლებამოსილება უმთავრდებოდა, მას ჰქონდა უფლება დაემთავრებინა მის წარმოებაშ ამ პერიოდისათვის მიმდინარე საქმე.
[29] მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა საქართველოში, როგორც სამომავლო პერსპექტივა, ჟორჟოლიანი ბ. საისტორიო ვერტიკალები N19, თბ. 2009, გვ. 209

თავდაპირველი რედაქციის შესაბამისად, მოსამართლედ დასანიშნი კანდიდატის ასაკთან დაკავშირებით არ შესულა ცვლილება და თანამდებობაზე ინიშნებოდნენ 28 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქეები. მხოლოდ კვალიფიკაციის გრაფას დაემატა შემდგომი-საკუთარი სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილების არსებობა.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც არ შეეძლოთ მოსამართლის თანამდებობის დაკავება აღნიშნული რედაქცია იზიარებს საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 1997 წლის რედაქციის აზრს და აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა.

კვალიფიკაციის ერთ-ერთ კომპონენტი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლება შეიცვალა და სავალდებულო სიიდან დამატებით მოიხსნა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის პრეტენდენტთათვის.

წინა რედაქციის მსგავსად, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდისგან თავისუფლდებოდნენ მოსამათლეები, რომლებსაც თანამდებობა დატოვეს არაუგვიანეს 7 წლის წინ. ასევე უცვლელად დარჩა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ვალდებულებები დანიშვნისას, მათთვის, სხვა უვადოდ დასანიშნი მოსამართლეობის კანდიდატებისაგან განსხვავებით, არასავალდებულო დარჩა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება .[30]

მოსამართლეთა დანიშვნა ხდებოდა კონკურსის წესით მნიშვნელობა არ ჰქონდა მის საკვალიფიკაციო გამოცდებიდან თუ სწავლებიდან განთავისფულებას. კონკურსი ცხადდებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ვაკანსიაზე ინფორმაციის განთავსებით. [31]

კონკურსის გარეშე სხვა სასამართლოში დანიშვნის წესთან დაკავშირებით იგივე მდგომარეობა გაქვს.[32]

რაც შეეხება მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლებს, აღნიშნულს დაემატა ის გარემობა როდესაც მოსამართლე თავისუფლდებოდა თანამდებობიდან იმ შემთხვევაში, თუკი თანამიმდევრული თორმეტი თვის განმავლობაში ოთხი თვე არ ანხორციელებდა თავის უფლებამოსილებას, ან სხვა დაწესებულებაში აირჩეოდა რაიმე თანამდებობაზე.[33]

---

[30] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი(მოქმედი), მიღების თარიღი: 8/12/2008, 34-ე მუხლი, 2013 წლის მდგომარეობით.

[31] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი(მოქმედი), მიღების თარიღი: 8/12/2008, 35-ე მუხლი, 2013 წლის მდგომარეობით.

[32] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი(მოქმედი), მიღების თარიღი: 8/12/2008, 37-ე მუხლი, 2013 წლის მდგომარეობით.

[33] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი(მოქმედი), მიღების თარიღი: 8/12/2008, 43-ე მუხლი, 2013 წლის მდგომარეობით.

აღნიშნული რედაქცია მოქმედებდა 2009 წლიდან 2013 წლამდე. კანონში ჯერ არ იყო ცვლილებები შესული მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ დროის კონსტიტუცია უკვე ითვალისწინებს მოსამართლეთა უვადადო დანიშვნის შესაძლებლობას, რამაც განაპირობა სასამართლო რეფორმების მეორე ტალღა. [34]

2.2 სასამართლო სისტემის რეფორმის მეორე ტალღა

2014 წელს კანონში შევიდა შემდეგი ცვლილებები: გაიზარდა მოსამართლეობის მსურველთა ასაკი და განისაზღვრა არაუადრეს 30 წლისა, დაემატა აკადემიური ხარისხის მაგისტრის ან უმაღლესი სასწარვლებლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომის არსებობა, მაგრამ ყველაზე დიდი ცვლილებები განიცადა მოსამართლეების თანამდებობაზე გამწესების ვადამ.[35]

2014 წლიდან საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ვხვდებით, მოსამართლეთა შესაძლო უვადოდ დანიშვნის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებას. თუკი რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებიდან გასული იქნებოდა 3 წელი, ამ ვადის გასვლამდე 2 ან 1 თვით ადრე უნდა მომხდარიყო მოსამართლის საქმიანობის შეფასება და შემდგომ ამ ანალიზის საფუძველზე მისი უვადოდ დანიშვნა იმ ასაკის მიღწევამდე, რომელსაც კანონმდებლობა გვიწესებს. თუკი არ მიიღებოდა მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილება, მაშინ ცხადდებოდა კონკურსი რის საფუძველზეც შემდგომ მოხდებოდა მის თანამდებობაზე სხვა საქართველოს, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოქალაქის დანიშვნა. ხოლო მოსამართლე, რომელიც გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ არ განწესდებოდა თანამდებობაზე უვადოდ კარგავდა უფლებას მიეღო მონაწილეობა მოსამართლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში. სანამ მოსამართლეს შეუსრულდებოდა თანამდებობაზე ყოფნის 3 წელი 4 თვით ადრე ხდებოდა წილისყრით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე წევრის არჩევა, რომლებიც დამოუკიდებლად აფასებდნენ აღნიშნული მოსამართლის საქმიანობას. მოსამართლეს, რომლის საქმეც იქნებოდა მათ განხილვაში პერიოდულად შეეძლო გაცნობოდა თუ როგორ ხდებოდა მისი საქმიანობის შეფასება. ამ საქმესთან დაკავშირებული ანგარიშები კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნებოდა მოსამართლის მოსამართლის გამოსაცდელი ვადის ამოწურვამდე 3 თვით ადრე. უვადოდ თანამდებობაზე გამწესების კანდიდატს შეეძლო მოეთხოვა მისი საქმის განმხილველი მოსამართლის აცილება თუკი იგი დაასაბუთებდა, რომ ის ვერ შეაფასებდა მის საქმეს ობიექტურად რაიმე

[34] კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლეთა უვადოდ არჩევის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილება ძალაში შევიდოდა 2013 წელს მორგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

[35] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), მიღების თარიღი 8/12/2008, 34-ე მუხლის, 2014 წლის მდგომარეობით.

მიზეზებიდან გამომდინარე. შემფასებელი ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თავისი შეფასებისას.[36]

„კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მაახასიათებებია: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია, ფინანსური ვალდებულბება. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია: სამართლის ნომრების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წრთვნა, პროფესიული აქტივობა.“[37]

მოსამართლეების შემფასებლებს აქვთ უფლებამოსილება, შეფასების 1 თვიან პერიოდში, ნებისმიერ დროს შეაფასონ კანდიდატის ქმედებები და მიიღონ ამისთვის საჭირო ღონისძიებები.

ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იღებენ არანაკლებ 5 ერთიდაიგივე საქმეს, რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლეობის კანდიდატმა. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებებში უნდა იყოს 2 საქმე მაინც, რომელიც ზემდგომი ინსტანციის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი. ისინი ამოწმებენ თუ რამდენად კარგად იცნობს მოსამართლე კანონმდებლობას, მათ შორის ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და როგორ იყენებს აღნიშნულ ინფორმაციას საკუთარი საქმის დასასაბუთებლად. ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ის, თუ რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებს კანდიდატი მის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

შემფასებლების მიერ შეფასება ხდება ქულობრივი სისტემით ჯამში 100 ქულის ოდენობით. თოთოეულ შესაფასებელ კრიტერიუმს აქვს თავისი ქულა.[38] თუკი მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კომპონენტებს და მისი კომპეტენტურობის კრიტერიუმი 70 პროცენტზე დაბალია, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უარს ეუბნება მას თანამდებობაზე უვადოდ განწესების საქმის განხილვაზე, რის შესახებაც დგება შესაბამისი სამართლებრივი აქტი. აღნიშნული აქტის გასაჩვრება მოსამართლეს შეუძლია ჩაბარებიდან 1 კვირის განმავლობაში. გასაჩივრებას განიხილავს და სრული შემადგენლობის 2/3 წილისყრით (ღია კენჭისყრით) გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. პასუხი შემდეგნაირი შეიძლება იყოს: დაკმაყოფილდეს და ან უარი ეთქვას მოსამართლეს მის მიერ წარდგენილ საჩივარზე. თუკი

[36] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), მიღების თარიღი 8/12/2008, 36 -ე მუხლის, 2014 წლის მდგომარეობით.
[37] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), მიღების თარიღი 8/12/2008, 36^3 -ე მუხლის, 2014 წლის მდგომარეობით.
[38] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), მიღების თარიღი 8/12/2008, 36^3 -ე მუხლის, 2014 წლის მდგომარეობით.

დაკმაყოფილდება მოსამართლის სარჩელი, მაშინ მოხდება მისი გასაუბრებაზე დაბარება და მისი საქმის განხილვა. არ დაკმაყოფილების შემთვევა კი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თუკი სამი ან მეტი შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს, ან სრულიად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კომპონენტს და მისი კომპეტენტურობის კრიტერიუმი 70 პროცენტი ან მეტია, ამ შემთხეევევაში მოსამართლეს ჩაუტარდება გასაუბრება და შესაბამისი გასაუბრების შემდგომ მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას დაინიშნოს თუ არა მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ.[39]

თუკი მოსამართლე ვერ დააკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ის არ დაინიშნება თანამდებობაზე უვადოდ მას შეუძლია უარი თქვას მისი შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებაზე და შესაბამისად ეს შედეგები შენახული იქნება მის პირად საქმეში და აღნიშნული არ გასაჯაროვდება. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი ის დაინიშნება უვადოდ მისი საქმის შესწავლის დოკუმენტაცია და შესაბამისი დასკვნები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის თანახმად, საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს აღნიშნულს. [40]

თუკი მოსამართლე არ ეთანხმება იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოცემულ გადაწყვეტილებას, შეუძლია აღნიშნული გაასაჩივროს უზენაეს სასამართლოში, შემდეგი გარემოებების არსებობისას: თუკი ის თვლის რომ შემფასებელი მიკერძოებული იყო გადაწყვეტილების გამოტანისას, თუკი გადაწყვეტილებას მიიჩნევს დისკრიმინაციულად, თუკი მან გადაამეტა უფლებამოსილებას, თუკი მიიჩნევს რომ გადაწყვეტილება ემყარება არსებითად მცდარ ფაქტს და აქვს ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან თუკი შეფასება მიმდინარეობდა კანონმდებლობის დარღვევით და აღნიშნული დარღვევების არ არსებობის შემთვევაში შესაძლებელი იყო მისი უვადოდ დანიშვნა დადებითად გადაწყვეტილიყო.

მოსამართლეობის კანდიდატი უფლებამოსილია იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილება, უვადოდ თანამდებობაზე განწესებასთან დაკავშრებით უარის თქმის შესახებ, გაასაჩივროს უზენაეს სასამართლოში.[41] აღნიშნული გასაჩივრება არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდას. უზენაესი სასამართლო საჩივრის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ამოწმებს შეესაბამება თუ არა საჩივარი საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 34[4] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნებს. თუკი სარჩელი შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს სასამართლო ვალდებულია საჩივარი განიხილოს 1 თვის ვადაში. სარჩელის განხილვისას სასამართლო უზრუნველყოფს

[39] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), მიღების თარიღი 8/12/2008, 36[4] -ე მუხლის, 2014 წლის მდგომარეობით.

[40] საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), გამოცემის თარიღი: 8/12/2009, მუხლი 34[4], 2014 წლის მდგომარეობით.

[41] გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 2 კვირის ვადაში აქვს უფლება მოსამართლეს გაასაჩივროს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში.

მხარეთა უფლებების დაცვას სასამართლო პროცესზე. უზენაესი სასამართლოს სხდომა ღიაა და განხილვისას გაკეთებული შეფასებები საჯარო. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უზენაესი სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად უგზავნის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2 კვირის ვადაში გამოსცემს შესაბამის აქტს მოსამართლის უვადოდ თანამდებობაზე განწესების დაკმაყოფილების, ან მისთვის უარის თქმის შესახებ. დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან კანდიდატი ითვლება უვადოდ თანამდებობაზე დანიშნულად, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში მისი პოზიცია გახდება ვაკანტური და შესაბამისად ცხადდება ხელახალი კონკურსი.[42]

საერთო სასამართლოების 2014 წლის რედაქციის თანახმად, „მოსამართლის საქმის განხილვისას შემფასებლის საქმიანობაში უკანონო ჩარევა დაუშვებელია და იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას“[43]

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 2017 წლის ერთ-ერთი ცვლილება, განპირობებული იყო სააპელაციო სასამრთლოს მოსამართლის საკონსტიტუციო საჩივრის დაკმაყოფილების თანახმად.

საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/1/659.

მოსარჩელე მხარე საკონსტიტუციო სარჩელში განმარტავს, რომ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 29-ე და 86-ე მუხლებს. საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მხარე არის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და მისი უფლებამოსილების ვადა იწურება 2019 წელს. ის განმარტავს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის ათ წლიანი გამოცდილება აქვს და მისთვის და მის მდომარეობაში მყოფი პირებისთვის 3 წლით გამოსაცდელი ვადით დანიშვნა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით მოსარჩელე მხარე ასაბუთებს, რომ მიიღება მხედველობაში მისი გამოცდილება და მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადა რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რომელიც მიგვითითებს, რომ არ შეიძლება არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის თანაბარი მოპყრობა იყოს კანონმდებლობით დადგენილი, ის განმარტავს, რომ არ შეიძლება ყველა მოსამართლისთვის ერთიდაიგივე სტანდარტის დაწესება. იმ შემთვევაში თუკი მოსამართლე თანამდებობაზე იმყოფება 3 ან მეტი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს დადგენილი მათთვის, როგორც სხვა, გამოცდილების არ მქონე მოსამართლეებისთვის, 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა.

---

[42] საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), გამოცემის თარიღი: 8/12/2009, მუხლი 34^7, 2014 წლის მდგომარეობით.

[43] საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი (მოქმედი), გამოცემის თარიღი: 8/12/2009, მუხლი 34^8, 2014 წლის მდგომარეობით.

საქართველოს კონსტიტუციის 86 მუხლის შესაბამისად მოსაამართლეთა თანამდებობაზე გამწესების ვადა, უვადოდ დანიშვნა, უნდა იყოს „ზოგადი წესი, ხოლო 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა - გამონაკლისი.“[44] აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება მოქალაქის უფლებას დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა, რა თქმა უნდა იმ შემთვევაში, თუკი მისი კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნული თანამდებობის დაკავებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, რომელსაც იცავს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი.

მოპასუხის აზრით, იქედან გამომდინარე თუ რა როლი აქვს მოსამართლეს სამართლის აღსრულებაში, მისი კანონმდებლობით შეზღუდვა ლოგიკური და მისაღებია. აღნიშნული შეზღუდვა არის ლეგიტიმური, რადგან კონსტიტუციის 86-ე მუხლი განმარტავს, რომ შესაძლებელია გამოყენებული იქნას მოსამართლისთვის გამოსაცდელი ვადად 3 წელი აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე იყენებს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ დისკრეციას და აწესებს მოსამართლეთათვის მაღალ სტანდარტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსამართლის მიერ „მაღალი ხარისხის“ სამართლის აღსრულება და მისი დამოუკიდებლობა, შესაბამისად საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტი არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 29-ე და 86-ე მუხლს.

სასამართლომ იმსჯელა აღნიშნული მუხლის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 29-ე და 86-ე მუხლთან მიმართებით. სასამართლომ ხაზი გაუსვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელობას, ისაუბრა დემოკრატიის მნიშვნელობაზე და მის როლზე სახელმწიფოს ფუნქციონირებისას. დემოკრატია არის „ხალხის მმართველობა“ შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიკავონ ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, შესაბამისი კვალიფიკაციის და კანონის მოთხოვნების შესაბამისად. იქედან გამომდინარე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა მოსამართლე სამართლის აღსრულებაში, შესაძლებელია მისი თანამდებობისთვის არსებობდეს კანონით დადგენილი სტანდარტი, რომელიც შესაბამისად ლოგიკურად და ლეგიტიმურად უნდა ზღუდავდეს მას, განიმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლი, რადგან ადგენს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას შესაბამისად კონსტიტუციის 29-ე მუხლთან პირდაპირ კავშირშია.

კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით, რადგან ის ადგენს მოქალაქის უფლებას დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა შესაბამისად უშვებს შესაძლებობას შეიზღუდოს აღნიშნული უფლება. კონსტიტუციის 86-ე მუხლი განმარტავს, რომ „მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა“ [45] აღნიშნული არ ანიჭებს

[44] საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/1/659

[45] საქართველოს კონსტიტუცია, გამოცემის თარიღი: 24/08/1995, 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით.

კანონმდებელს უპირობო უფლებამოსილებას დააწესოს მოსამართლეთა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული და პროპორციული.

კანონმდებელს მოეთხოვება შეზღუდვასთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება, იქედან გამომდიანრე, რომ იზღუდება მოქალაქის უფლება დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა აღნიშნული უფლება უნდა შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს შესაბამისი ლეგიტიმური მიზანი და ეს საშუალება ამ მიზნის მიღწევის გამოსადეგი და აუცილებელია.

3 წლის განმავლობაში გამოსაცდელი ვადა კანონმდებლის განმარტებით ემსახურება კანდიდატის უნარ-ჩვევების შემოწმებას, რადგან ამ ვადის განმავლობაში შესაძლებელია მისი საქმიანობის დაკვირვება და შესაბამისი შეფასებების გაკეთება, აქედან გამომდინარე, სამწლიანი გამოსაცდელი ვადა წარმოადგენს მიზნის მისაღწევად გამოსადეგ საშუალებას. რაც შეეხება აღნიშნული საშუალების აუცილებლობას. შესაძლებელია იმ კანდიდატების კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის შემოწმება, რომლებსაც შესაბამისად აქვთ მოსამართლედ თანამდებობაზე ყოფნის სამი ან მეტ წლიანი გამოცდილება, აქედან გამომდინარე, არ არსებობს მათთვის დამატებით გამოსაცდელი ვადის დაწესების აუცილებლობა. საკონსტიტუციო სასამართლო უშვებს იმის შესაძლებლობასაც რომ ვერ მოხდეს მოსამართლის საქმეების გამოკვლევა რაიმე მიზეზის არსებობის შემთვევაში, მაგრამ თუკი არ არსებობს ხელშემშლელი გარემოება შეზღუდვა არ წარმოადგენს მიზნის მისაღწევად აუცილებელ საშუალებას. [46]

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: დისკრიმინაცია არის არათანაბარი პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება, სასამართლომ პირველ რიგში გაარკვია „სადავო ნორმა ეხება თუ არა არსებითად უთანასწორო პირებს და ადგენს თუ არა მათ მიმართ არათანაბარ მოპყრობას“ [47]

სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს ორი ჯგუფი: პირველი, რომელსაც არ აქვს გამოცდილება და შესაბამისად მის საქმეებს ფიზიკურად ვერ შეაფასებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მეორე, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება და შესაძლებელია მისი განხილული საქმეების შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, აქედან გამომდინარე ისინი საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტთან მიმართებაში არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ნებისმიერი დიფერენციული მოპყრობა არ უნდა იყოს უარყოფითად გაგებული. შესაძლებელია არსებობდეს ობიექტური გარემოებები, რომელებიც დაასაბუთებს მსგავსი მოპყრობის აუცილებლობას. კანონმდებელს აქვს უფლება დიფერენციული მოპყრობის

[46] საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/1/659.
[47] საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/1/659.

ობიექტური გარემოებებით დასაბუთების შემთხვევაში შეზღუდოს მოქალაქის უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კონკრეტულად არ ითალისწინებს ამ ნიშნით განსვავებულ მოპყრობას. შეზღუდვა მხოლოდ მოსამსართლეთა ერთ კონკრეტულ ჯგუფს აკისტრებს დამატებით ტვირთს და რეალურად ამ ჯგუფს მაინც შეუძლია აღნიშნული თანამდებობის დაკავება თუკი გაივლიან გამოსაცდელ 3 წლიან ვადას. აქედან გამომდინარე, დიფერენციაცია ამ შემთხვევაში არ იყო მაღალი ხარისხის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დისკრიმიაციის დასადგენად მიმართა რაციონალური შეფასების ტესტს. რაციონალური ტესტით შეფასებისას უნდა შემოწმდეს თუ რამდენად რაციონალურია დიფერენციული მოპყრობა და თუ რამდენად არსებობს ობიექტურ მიზანსა და შედეგს შორის რაციუნალური კავშირი, მოსარჩელე მხარე ვერ უთითებს იმ ობიექტურ გარემობებზე თუ რატომ უნდა იქნეს დიფერენციული მოპყრობა გამოყენებული. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შესაძლებელია თუკი მოსამართლე თანამდებობაზე იმყოფება 3 ან მეტი წლის განმავლობაში მისი საქმეების შეფასება აღნიშნული შეზღუდვის და დამატებითი ბარიერების გარეშეც აქედან გამომდინარე, საერთო სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4[1] პუნქტის ეს ფორმულირება არის დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლს. [48]

ამ მსჯელობიდან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციასთან შეუთავსებლობის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სასამრთლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4[1] პუნქტი ბათილად ცნო 2017 წლის 1 ივლისიდან.

2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებების თანახმად, საერთო სასამართლოების შესახებ კანონმა განიცადა შემდგომი ცვლილებები: კანონს დაემატა მუხლი მოსამართლის შესახებ პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ, ამ რედაქციის თანახმად, უვადოდ მოსამართლედ დანიშვნის კანდიდატს განცხადების გაკეთებისას უნდა დაედასტურებინა, რომ ის თანახმა იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ გამოძიებულიყო მის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული ინფორმაცია დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ კანონის თანამხად იმ კრიტერიუმების შესამოწმებლად, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს უვადოდ დასანიშნი მოსამართლეობის კანდიდატი.

მისი კეთილსინდისიერების შესამოწმებლად ინფორმაციის დამუშავება უნდა მოხდეს ობიექტურობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით, მოძიებული ინფორმაცია კომფიდენცალურია და მისი გასაჯაროება კანონდმებლობის შესაბამისად აკრძალულია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი შესაძლოა დაუკავშირდეს კანდიდატის რეკომენდატორებს, ყოფილ თანამრომლებს, პედაგოგებს, მისი სასწავლების ადმინისტრაციას, გამოითხოვოს ინფორმაცია

[48] საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/1/659.

კანდიდიდატის ნასამართლეობის, დისციპლინური დარღვევების შესახებ და შესაბამისი სპეციალური კითხვარის ფარგლებში გამოიკითხოს მის შესახებ ინფორმაცია. ასევე შესაძლებელია კანდიდატის შესახებ ინფორმაცია გამოიძიოს სატელეფონო გასაუბრებით, რის შესახებაც შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი უნდა შედგეს. კანდიდატს შეუძლია გაეცნოს იმ ინფორმაციას რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ იქნება მოძიებული და მისი განმარტებები გააკეთოს აღნიშნულთან დაკავშირებით.

ის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებული იქნება კანონის დარღვევით არ შეიძლება გამოყენებული იყოს კანდიდატის შეფასებისას. ინფორმაციის წყარო კომფიდენციალურია და მის შესახებ ინფორმაციის გაცემა დაუშვებელია უშუალოდ კანდიდატისთვისაც. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას, აღნიშნულს დაემატა ვალდებულება იმ შემთვევაში თუკი დაკმაყოფილდება მოსამრთლეობის კანდიდატის საჩივარი უზენაესი სასამართლოს მიერ, თუკი ის თანამდებობა, რომელზეც განცხადება ჰქონდა მას გაკეთებული აღარ არის ვაკანტური, დაინიშნოს იმავე ან სხვა სასამართლოში მოსამართლედ, ხოლო თუკი ვაკანტურია ეს თანამდებობა შესაბამისად მოხდება მისი დანიშვნა.[49]

აგრეთვე ცვლილება განიცადა საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტმა ამ ცვლილების თანახმად, გამოსაცდელი ვადა ყველა მოსამართლესთვის აღარ იყო ბლანკეტურად და გამონაკლისის სახლით საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეთა მიმართებით აღარ ვრცელდებოდა გამოსაცდელი ვადა სამი წელი.

2017 წლის რედაქციის თანახმად, მოსამართლედ არ შეიძლებოდა დანიშნულიყო პირი, რომელიც როგორც წინა რედაქციების შესაბამისად იყო ნასამართლევი, მაგრამ შეიცვალა შემდეგი ამ შემთხვევაში მას არ უნდა ჩაედინა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არსებული დისციპლინური გადაცდომა, ასევე აღსანიშნავია, რომ მოსამართლის თანამდებობასთან შეუფერებელ თანამდებობის, და შეუფერებელი საქმიანობის გამო აღარ ხდებოდა მოსამართლეობის კანდიდატისთვის უარის თქმა, რადგან კანონი აღარ ითვალისწინებდა აღნიშნულს.[50][51]

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 2017 წლის რედაქციის შესაბამისად, უვადოდ თანამდებობაზე განწესების კანდიდატმა უნდა დაამტკიცოს, რომ:

---

[49] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 2017 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით, 35-ე 35^{1-}, 35^2, 35^4 მუხლები

[50] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 2017 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით, 34-ე მუხლი.

[51] [51] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 2017 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით, 43-ე მუხლი.

- მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. ანუ შემფასებელი საბჭო ეცნობა, როგორც მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული გამოცდის შედეგებს, ისე სასამართლოებიდან მოძიებულ სტატისტიკურ ინფორმაციას. ასევე ისინი ეცნობიან კანდიდატთა მიერ ჩატარებული სხდომების აუდიო ინფორმაციას.

- მან იცის სამართლის ნორმები, ანუ შემფასებელი დეტალურად იძიებს თუ რამდენად რელევანტური იყო კანდიდატის მიერ აქამდე გამოტანილი გადაწყვეტილებები და რამდენად მოდიოდა კანონთან შესაბამისობაში.

- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია- საბჭო განიხილავს მოსამართლის მიერ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებები რამდენად მკაფიოდ და პროფესიონალურად იყო დასაბუთებული.

- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი- ანუ რამდენად გასაგები და პროფესიონალური ენითაა დაწერილი კანდიდატის მიერ გამოტანილი განაჩენი, ხოლო რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, ესაც მოწმდება აუდიო ჩანაწერების მეშვეობით. მოწმდება ისიც იყენებს თუ არა ის რაიმე სახის არაკორექტულ სლენგს და დისკრიმინაციულ ფრაზებს.

- პროფესიონალური თვისებები მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში- მაგალითად არის თუ არა მოსამართლე პუნქტუალური და წარმართავს თუ არა პროცესს კორექტულად.[52]

ასევე მოწმდება მოსამართლეობის მსურველის აკადემიური მიღწევები და პროფესიული აქტივობა

ეს ცვლილებები მდგომარეობდა შემედეგში: უვადოდ თანამდებობაზე ვერ განწესდება მოსამართლე, რომელიც თანამდეობიდან განთავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის გამო, გარდა იმ შემთხვევევისა, როდესაც ეს დისციპლინური გადაცდომა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონმდებლობით აღარ ითვლება დისციპლინურ გადაცვდომად.

სააპელაციო ან/და რაიონული სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და თუკი მომხრეა საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3 შესაბამისად მოხდება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, უვადოდ თანამდებობაზე განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზი არ შეიძლება გახდეს სასამართლოს შემცირება ან ლიკვიდაცია, რაც შესაბამისად განამტკიცეს უვადოდ დანიშნული მოსამართლის ხელშეუხებლობას.

[52]გამოსაცლელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასება და უვადოდ განწესება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2017წ.

2017 წლის 16 ივნისს შესაბამისად ცვლილება შევიდა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4[1] პუნქტში და ახალი რედაქციის თანახმად იმ მოსამართლეებს რომელებსაც 3 წლის ან მეტი ვადით აქვთ სამოსამართლო გამოცდილება იქნება ეს რაიონული, სააპელაციო, უზენაესი თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი თუ ყოფილი წევრი (თუკი მისი უფლებამოსილების გასვლი ვადიდან გასულია არაა 10 წელზე მეტი) შეუძლია კონკურსში მონაწილეობა მიიღოს გამოსაცდელი ვადის გასვლის გარეშე, სხვა კანდიდატებისთვის ძალაში დარჩა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა.

ასევე დაემატა შემდეგი გარემოება თუკი მოსამართლე არჩეულია 10 წლის ვადით და მას უარი ეთქვა უვადოდ თანამდებობაზე გამწესებასთან დაკავშირებით ის იმ ვადით რჩება თანამდებობაზე რა ვადითაც იყო დანიშნული.[53]

2018 წლის რედაქციის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ვხვდებით ერთ-ერთ თავს, რომლის დარღვევის შემთხვევაში არ შეეძლო პირს გამხადრიყო საქართველოს მოსამართლე. გარდა იმ შემთხვევისა თუკი კანონი განიცდიდა ცვლილებას და ეს სამართალდარღვევა აღარ ჩაითვლებოდა სამართალდარღვევათ. დანარჩენი მიდგომა მოსამართლის თანამდებობის დაკავების აკრძალვასთან დაკავშირებით იგივეა, რაც ამ საკანონმდებლო ცვლილებამდე.[54][55]

2018 წელს საერთო სასამართლეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ჩვენთვის განსახილველმა თემატიკამ ბოლო ცვლილებები განიცადა და ჩამოყალიბდა იმ მდგომარეობით, რაც დღეისათვის 2019 წლისთვის გვაქვს სახეზე.

ჩვენ განვიხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება N3/1/659, რომელის საფუძველზეც ბათილად იქნება ცნობილი საერთო სასამართლოებს შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 4[1] ნაწილი - მოსამართლეთა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა, რადგან ის არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას. დღევანდელი რედაქციის თანახმად სამ წლიანი გამოსაცდელი ვადისგან თავისუფლდება საკონსტიტუციო, უზენაესი სასამართლოს ყოფილი ან მოქმედი მოსამართლე, სააპელაციო ან/და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი მოსამართლები, რომელებსაც აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლედ 3 წლიანი გამოცდილება აქვთ და მათი უფლებამოსილების შეწყვეტიდან არ გასულია 10 წელი.

---

[53] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 36-ე მუხლი, 2017 წლის 16 ივნისის მდგომარეობით.

[54] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი : 8/12/2009, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი 2018 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით.

[55] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი : 8/12/2009, XIII[1] თავი, 2018 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით.

3. წამყვანი დასავლური ქვეყნების ტრადიციები მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით და მათი შედარება ქართულ სისტემასთან და მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შემთხვევები დასავლური ქვეყნების მაგალითზე.

3.1 მსოფლიოს წამყვანი სამართლებრივი სისტმების მქონე ევროპულ ქვეყანათა არჩევანი მოსამართლეთა დანიშვნისას

დასავლურ სამყაროში მოსამართლეთა დანიშვნის სხვადასხვანაირი ტრადიციები არსებობს. მაგალითად: რიგ შემთხვევებში მოსამართლეების შერჩევა ხდება იუსტიციის საბჭოს მიერ, რომელიც შემდგომ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. ასევე არსებობს მოსამართლეთა პირდაპირი მეთოდით დანიშნვნის ტრადიციაც, როდესაც სახელმწიფოს უმაღლესი პირი, მეთაური არჩევს და ნიშნავს, იუსტიციის საბჭოს მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს, ზოგგან კი მოსამართლეებს პირდაპირ არჩევს და ნიშნავს სპეციალურად შედგენილი იუსტიციის საბჭო.[56]

კონტროლის მექანიზმებიც სხვადასხვაგვარია, მოსამართლეთა გადაწყვეტილებების და მათი მიუკერძოებლობის კონტროლისათვის სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანო და საბჭო აქვს შექმნილი.

ქვემოთ რამოდენიმე წამყვანი დასავლირი ქვეყნის მაგალითზე შემოგთავაზებთ მცირე მიმოხილვას და ვიმსჯელებთ თუ როგორ სისტემას ანიჭებს უპირატესობას ევროპის მოწინავე ქვეყნები და რამდენად კარგად მუშაობს ესა თუ ის სისტემა ხსენებულ სახელმწიფოებში.

პირველ მაგალითად შემოთავაზებთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი იურიდიული სისტემის მქონე ქვეყანას- გერმანიას.

გერმანიაში მოსამართლეების კარიერული სისტემა არსებობს. კანდიდატმა ერთგვარი კარიერული კიბე და საკმაოდ რთული შერჩევა უნდა გაიაროს წარმატების მისაღწევად. თავდაპირველად ის აბარებს სახელმწიფო გამოცდას, რომლის წარმატებით გავლის შედეგადაც ის ხვდება სახელწიფო სტაჟირების სისტემაში, სადაც ასევე წარჩინებული შრომის შედეგად მიდის შემდგომ ეტაპამდე, სახელმწიფო გამოცდამდე. რისი

[56] საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო ფურცელი მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ბიბილაშვილი, მ. თბ 2015 წ.

წარმატებით გავლის შემთხვევაშიც მათ შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი ვაკანტურ თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ რთული საგამოცდო სისტემის გავლის შემდეგ, აპლიკანტთა მხოლოდ ათი პროცენტი ხდება მოსამართლე.

გადარჩევის შედეგად დარჩენილი ათი პროცენტი ინიშნება თანამდებობაზე ხუთ წლიანი გამოსაცდელი ვადით. არსებობს მოსამართლის მანტიის მორგების სხვა შანსიც. პირს დიდი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილებით, შეუძლია პირდაპირ შეიტანოს განაცხადი, ყოველგვარი სახელმწიფო გამოცდისა და სტაჟირების გარეშე.

ვინაიდან და რადგანაც გერმანია ფედერალური სახელწიფოა, ზოგიერთი ფედერალური ერთეულის სისტემა განსხვავებულია სხვათაგან. მთელ რიგ ლანდებში მოსამართლეების არჩევაზე პასუხისმგებელია იურისტებისა და დეპუტატებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც თავის თავზე იღებს მოსამართლეთა შერჩევის საკითხს. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოებში მოსამართლეებს თითოეული ფედერაციული ოლქიდან წარდგენილი მოსამართლეებისაგან არჩევენ, რომლებიც მკაცრ გაცხრილვას გადიან დანიშვნამდე. ფედერაციულ მთავრობას კონსულტაციას უწევს საპრეზიდენტო საბჭო, რომელიც შედგება სასამართლოს პრეზიდენტებისაგან და მოსამართლეებისაგან, რომელთადანაც ნაწილი დანიშნულია და ნახევარზე მეტი არჩეული.

გერმანიაში მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან უვადოდ და როდესაც მიაღწევენ გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად საპენსიო ასაკს თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან.[57]

ავსტრიაში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სასამართლოს პრეზიდენტის მიერ. ამ ვაკანტური თანამდებობის დაკავებისათვის მოსამართლეობის მსურველები ირიცხებიან სპეციალურ მოსამზადებელ კურსზე, რომელზე დასაშვებადაც ავსტრიის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე მოქალაქემ უნდა გაიაროს მკაცრი შემოწმება, სადაც მოწმდება მისი ცოდნა, ხასიათი კომინიკაბელურობა და გარეგნობაც კი.

აპლიკანტმა, მოსამზადებელ კურსზე მოსახვედრად უნდა გაიაროს ტესტი, გასაუბრება, ზეპირი გამოცდა, ფსიქოლოგიური შემოწმება და სხვ. თუ კანდიდატის შეფასება დადებითია ის იგზავნება მოსამზადებელ სამსახურში სამუშაოდ, ოთხი წლით საოლქო ან პირველი ინსტანციის სასამართლოში, პროკურატურასა ან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

მოსამზადებელი კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, ის აბარებს წერილობით და ზეპირ გამოცდას და განცხადებით მიმართავს სასამართლოს, სადაც ვაკანტური თანამდებობა არსებობს. ხოლო შემდეგ სასამართლოს უფლებამოსილი საბჭო გადასცემს

[57] The German Judiciary Act, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_drig/englisch_drig.html?fbclid=IwAR1Y-oHN20RFiIGkkEH6FYcCnF2ogz3PXEQkL3tcDkAr-9MmPgTBS__GLJg

მის კანდიდატურას ქვეყნის პრეზიდენტს დასამტკიცებლად, რის შედეგადაც პრეზიდენტი მას უვადოდ ნიშნავს მოსამართლედ.

ხოლო რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, ის იმ სახელწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მოსამართლეთა ბედს გარკვეული სახის მოსამართლეთა დანიშვნის კომისია განაპირობებს.

2005 წლიდან ქვეყანაში შემოღებულ იქნა ეგრეთ წოდებული ლორდი მთავარი მოსამართლის თანამდებობა. რომლის დაკავების შემთხვევაშიც პირი ითავსებს უზენაესი სასამართლოს ხემძღვანელისა და ლორდთა პალატის სასამართლოს ფუნქციებს.

ამავე განკარგულებით დადგინდა მოსამართლეთა ასაკობრივი ზღვარიც. ქვედა ზღვარი უცნობია, მაგრამ ზედა ზღვარად 70 წელი იქნა მითითებული.

მოსამართლეობის კანდიდატები დიდ ბრიტანეთშიც გადიან ვრცელ გზას თანამდებობის დასაკავებლად. ისინი აუცილებელია ფლობდნენ უმაღლეს იურიდიულ განათლებას და გავლილი ჰქონდეთ სტაჟირება არანაკლებ ხუთი წლისა. მოსამართლე გადის მრავალ საკვალიფიკაციო ეტაპსა და გასაუბრებას. სწორედ გასაუბრება წყვეტს ხოლმე მოსამართლეთა ბედს.

დიდ ბრიტანეთში მოქალაქეებს შეუძლიათ იჩივლონ მოსამართლეთა არასწორი ქმედების ნიადაგზე ლორდ-კანცლერისა და მთავარი ლორდ-მოსამართლის სპეციალურ ორგანიშო. საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს მაგალითად: მოსამართლის მიერ შეურაცხმყოფელ ან რასისტული დამოკიდებულებას და არათანაბარ მოპყრობას რაიმე სახის გენდერული ან რასისტული ნიშნით. საჩივარი უნდა გაიგზავნოს შემთხვევიდან არაუგვიანეს თორმეტი თვისა, ელექტრონული ან ჩვეულებრივი ფოსტის მეშვეობით. თუ საჩივარი ლეგიტიმურად იცნო მაშინ ის გადაეგზავნება ლორდ მოსამართლეს და თუ დადგინდა მოსამართლის ბრალეულობა, მაშინ სწორედ ლორდ მოსამართლის ორგანოს გამოაქვს გარკვეული სახის დისციპლინარული სასჯელი.

იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე უკმაყოფილოა თავის საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყეტილებით მას შეუძლია მიმართოს მოსამართლეთა ქცევის ომბუდსმენს, რომელიც ხელმეორედ განიხილავს საჩივარს და ყველა პროცედურულ ნორმას გაივლის ხელახლა, რომელიც მოხდა საჩივრის განხილვის პროცესში, ლორდ მოსამართლის ორგანოს მიერ.[58]

დასავლური სამართლის აკვან, იტალიაში მოსამართლეები იტალიის კონსტიტუციის 106-ე მუხლის თანახმად [59] შეირჩევიან და ინიშნებიან საჯარო კონკურსის

[58] საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო ფურცელი მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ბიბილაშვილი, მ. თბ 2015 წ.

[59] იტალიის კონსტიტუცია, 106-ე მუხლი ,http://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf?fbclid=IwAR1ReigTaEZ39-6re7lzyLMm_R078CX8X0TNH7I24AqgDwTqzx8fov-FoHw

საფუძველზე, რომელში მონაწილეობაც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ იტალიის მოქალაქეს შეუძლია. თუმცა ისინი სამსახურის დაწყებამდე გადიან ორ წლიან გარკვეული სახის მოსამზადებელ კურსს, რომელშიც შედის სტაჟირება და კვალიფიკაციის ამაღლება. წარმატებული სტაჟიორებიდან შეირჩება მაგისტრატი სპეციალური საბჭოს მიერ. სწორედ ეს საბჭო გვევლინება ერთგვარი კონტროლის მექანიზმად, რომელსაც ასევე შეუძლია მაგისტრატის უფლებამოსილების შეჩერება თუ ის მის ქმედებებში რაიმე შეუსაბამოს აღმოაჩენს.

ჩვეულებრივ სასამართლო განხილვას განიხილავს ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია, გარდა იმ შემთხვევისა თუ პრობლემა უშუალოდ კონკრეტული კანონის ინტერპრეტაციის საკითხს ეხება.

უზენაეს - საკასაციო სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს და უვადოდ ნიშნავს უზენაესი სამოსამართლეო საბჭო, მოცემული საბჭო გვევლინება ასევე კონტროლის მექანიზმად ამ შემთხვევაშიც.

იტალიაში არსებობს სახალხო სასამართლო, რომელიც ორი მოსამართლისა და ექვსი არაპროფესიონალი მსაჯულისაგან შედგება. თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სასამართლოს აუცილებლად უნდა უძღვებოდეს უზენაესი საკასაციო სასამართლოს მოსამართლე.

რაც შეეხება, ჩვენი მსგავსი პოლიტიკური წარსულის მქონე ქვეყნებს:

უკრაინაში, მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს, უკრაინის მოქალაქე, რომელიც გადაცდენილია 30 წლის ასაკს, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მინიმუმ მაგისტრის ხარისხი, რომელიც მან მიიღო უკრაინაში ან უკრაინის მიერ აღიარებულ ნებისმიერ უცხოურ უნივერსტეტში და იურისტად მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი პრაქტიკა. ის აუცილებელია ფლობდეს მშობლიურ ენას და მისი სამეტყველო და წერითი უნარ-ჩვევები უნდა იყოს მაღალ დონეზე განვითარებული.

პირი რომელიც ოდესღაც იკავებდა მოსამართლის თანამდებობას და გაათავისუფლეს დისციპლინარული გადაცდომის ან სხვა რაიმე მიზეზით შეუძლებელია იკავებდეს მოსამართლის თანამდებობას ხელმეორედ.

საკვალიფიკაციო პროგრამის პირველ ეტაპზე ტარდება წერილობითი გამოცდა, რათა შემოწმდეს, კანდიდატის წერილობითი უნარჩვევები მშობლიურ ენაზე და მისი ცოდნა და კვალიფიკაცია. მოსამართლეობის მსურველთა შორის შერჩევას ახდენს, მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისია. კომისია ასევე ამოწმებს კანდიდატთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და მდგრადობას. მოსამართლეობის მსურველები, რომლებიც არ აირჩევიან თანამდებობაზე, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ახსნა- განმარტება.

საკვალიფიკაციო ტესტირების შემდეგ კომისია, შერჩეული კანდიდატების შესახებ იძიებს სრულ ინფორმაციას. [60]

მოსამართლეობის კანდიდატი გადიან ერთ წლიან თეორიულ და პრაქტიკულ კურსს. კურსის გავლის შემდეგ კი კანდიდატები კიდევ ერთხელ გადიან საკვალიფიკაციო გამოცდის ეტაპს.[61]

საკვალიფიკაციო გამოცდის შემდეგ მოსამართლეობის კანდიდატები გადიან კიდევ ერთ კონკურსის ეტაპს, (უპირატესობა რაღა თქვმა უნდა ენიჭება კანდიდატს, რომელსაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს) რის შემდეგაც კომისია გამოცდებისა და კონკურსის შედეგებს უგზავნის მოსამართლეთა უზენაეს საბჭოს, რომელიც განიხილავს კანდიდატებს და თუ ისინი მათ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, შემდგომში უგზავნის პრეზდენტს დასამტკიდებლად.

აღსანიშნავია ისაც, რომ კანონი არეგულირებს შერჩვის პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას და მოსამართლეობის მსურველათა მიერ განვლილი თითოეული ეტაპის მაქსიმალურ ღიაობას და ამ პროცესში არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაციების ჩართულობას.

უკრაინაში მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ საპენსიო ასაკამდე, სამოცდახუთ წლამდე. ძველი კანონით უკრაინაში მოსამართლეთათვის დადგენილი იყო ხუთ წლიანი ვადა, რასაც ახალი კანონი აღარ ითვალისწინებს.

ხოლო რაც შეეხება ლიეტუას, ლიეტუაშიც მსგავსი სისტემა მოქმედებს, მოსამართლე შეიძლება გახდეს, ლიეტუას მოქალაქე უმაღლესი იურიდიული განათლებითა და ხუთ წლიანი სტაჟით.

მკაცრად კონტროლდება მისი სამართლებრივი ისტორიაც, როგორც სხვა ქვეყნებში, ყურადღება ექცევა მის რეპუტაციასა და რეკომენდაციებსაც.

კომისია, რომელიც მომავალ მოსამართლეებს არჩევს შედგება შვიდი წევრისაგან, რომელთაგანაც, მხოლოდ სამი შეიძლება იყოს არამოსამართლე და ეს კომისია ყოველ მესამე წელს თავიდან იქმნება. კომისიის წევრობის კანდიდატები სახელდებიან მოსამართლეთა საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარეც იუსტიციის მინისტრია.[62]

პირი, რომელიც წარმატებით გაივლის საკვალიფიკაციო ეტაპსა და შერჩევას იწერება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა სიაში, რომელიც შემდგომ ეგზავნება პრეზდენტს, მოსამართლეთა საბჭოს და შესარჩევ კომისიას.

---

[60] საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო ფურცელი მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ბიბილაშვილი, მ. თბ 2015 წ.

[61] http://legislationline.org/topics/topic/9

[62] მ. ბიბილაშვილი იგივე.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არსებულ ვაკანსიების დაკავება ხდება კონკურსის საფუძველზე, კომისია კიდევ ერთხელ გადაარჩევს კანდიდატებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საკვალიფიკაციო ეტაპი, აქვთ გამოცდილება, რეკომენდაციები და კარგი რეპუტაცია და მხოლოდ შემდგომ განხილვის საფუძველზე პრეზიდენტი ოცდაათ დღეში ნიშნავს მათ.

მოსამართლეები აქაც ინიშნებიან უვადოდ, საპენსიო ასაკამდე, რაც აქაც 65 წელია, მაგრამ მათ ასევე აქვთ უფლება მიმართონ კონკრეტულ ორგანოებს და თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაახანგრძლივონ სამოცდაათ წლამდე.[63]

მოსამართლეების დანიშვნა ესტონეთსა და შვედეთშიც მსგავსად ხდება, ისინი გადიან ვრცელ საკვალიფიკაციო ეტაპებს რათა დაიკავონ სასურველი თანამდებობა, სწორედ ამ საკვალიფიკაციო ეტაპების გავლის შემდეგ კი ისინი ინიშნებიან თანამდებობაზე უვადოდ საპენსიო ასაკამდე.

ესტონეთში მოსამართლედ ასევე შეიძლება დაინიშნოს კარგი რეპუტაციის მქონე ესტონეთის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს ესტონურ ენას, აქვს კარგი რეკომენდაციები და მყარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მას ასევე უნდა ჰქონდეს ყველა ის პიროვნული მახასიათებელი, რომელიც აუცილებელია მოსამართლედ მუშაობისათვის.

კანდიდატს გავლილი უნდა ჰქონდეს მოსამართლეთა მოსამზადებელი სამსახური (preparatory service) რის შემდეგაც ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო გამოცდა. ამ ყველაფრის გავლის შემდეგ ის შეიძლება დაინიშნოს რაიონული, პირველი ინსტანციის სასამართლოში. პირი, რომელსაც აქვს სამართლებრივ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება ან აქამდე მუშაობდა მოსამართლედ და მისი თანამდებობის დატოვებიდან ათ წელზე ნაკლებია გასული არ არის ვალდებული გაიაროს მოსამზადებელი სამსახური და ჩააბაროს გამოცდა.

გამოცდილი და აღიარებული იურისტი, რომელსაც აქვს ჩაბარებული გამოცდა ასევე შეიძლება დაინიშნოს საოლქო სასამართლოს მოსამართლედ, ხოლო თუ ის, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იქამდეც მუშაობდა მოსამართლედ და დატოვა თანამდებობა თავისუფლდება მოსამართლის გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან.

ეს შეეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსაც, მაგრამ გამოცდის შესახებ არაფერია ცნობილი.

მოსამართლეები თანამდებობას იკავებენ საჯარო კონკურსის გავლის შემდეგ.

პირველი ინსტანციის, ანუ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი მოსამართლეთა საბჭოსთან კონსულტაციითა და რეკომენდაციებით.

[63] მ. ბიბილაშვილი იგივე.

კანდიდატი მოსამართლეად დანიშვნამდე გადის ორ წლიან მოსამზადებელ კურსს, სწორედ იმ სასამართლოში სადაც შემდგომში ის მოსამართლედ უნდა დაინიშნოს. მომზადების პერიოდში მას შეიძლება დაენიშნოს ზედამხედველი. ასევე შესაძლებელია, გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინებით მან მოსამზადებელი კურსის ნაწილი სხვა სასამართლოში გაიაროს.

მოსამართლე ესტონეთშიც ინიშნება უვადოდ, მაგრამ მუშაობის მაქსიმალური ზღვარი აქ 67 წელია.

შვედეთში ორი პარალელური სასამართლო სისტემა მოქმედებს. პირველი საერთო სასამართლოების, რომელიც სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზეა ორიენტირებული და მეორე ადმინისტრაციული, რომელიც სახელმწიფო ორგანოების პრობლემებით ინტერესდება და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ორივე მათგანი სამი ინსტანციისაგან შედგება.

მოსამართლე შვედეთშიც ინიშნება უვადოდ და ეს თანამდებობა შეუძლია დაიკავოს შვედეთის მოქალაქემ უმაღლესი იურიდიული განათლებით და სახელმწიფო ენის ცოდნით. მას უნდა ჰქონდეს რვა წლიანი იურისტად მუშაობის პრაქტიკა.

ამ საქმეში მთავრობას ეხმარება მოსამართლეთა კომისია, რომელიც გასცემს გარკვეული სახის რეკომენდაციებს.

მოსამართლეობის მსურველმა აქაც უნდა გაიაროს მკაცრი საკვალიფიკაციო ეტაპები და მხოლოდ მას მერე შეუძლია დაიწყოს სტაჟირება რაიონულ სასამართლოში და ნელ-ნელა იაროს კარიერულ კიბეზე.

შვედეთის ოთხი კონსტიტუციური კანონიდან ერთ-ერთ სწორედ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას ეხება. სწორედ ეს კანონი არეგულირებს უვადო მოსამართლის კრიტერიუმებს.[64]

3.2 **მოსამართლეების დანიშვნა საქართველოში.**

საქართველოში მოსამართლეების დანიშვნა, როგორც უკვე ვახსენეთ ხდებაშემდეგნაირად:

მოსამართლედ შეიძლება შეირჩეს და დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც გადაცდენილია 30 წლის ასაკს ან არის 30 წლის, ფლობს მშობლიურ ენას და აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, რაშიც იგულისხმება, ის რომ მას უნდა ჰქონდეს მინიმუმ მაგისტრის ხარისხი. და ხუთ წლიანი სამუშაო გამოცდილება. მას ასევე უნდა ჰქოდეს

[64] THE SWEDISH CODE OF JUDICIAL PROCEDURE, გამოცემის თარიღი: 1998 წელი. file:///C:/Users/Mr.Green/Downloads/28dd0388a098dbff9a8b1edac2485592.pdf

წარმატებით გავლილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოსამართლის გამოცდა. ის ასევე უნდა იყოს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილი.[65]

უკრაინის მსგავსად, ჩვენთანაც, მოსამართლეობის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ნასამართლევი პირი, ან ყოფილი მოსამართლე, რომელიც დისციპლინური გადაცდომის გამო იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან.[66]

მოსამართლეობის მსურველი პირი კი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს უფლებამოსილია ვაკანტურ თანამდებობაზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განაცხადი შეიტანოს, რის შემდეგაც განიხილება მისი შედეგები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, შემდგომ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით იწვევენ სხდომაზე.[67]

ის პირი კი, რომლისთვისაც იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა სავალდებულო არ არის მოსამართლის თანამდებობას იკავებს, იუსტიციის საბჭოში გამოცხადებული კონკურსის გავლის შედეგად, კონკურსის პირობები და ვადები ასევე კრიტერიუმები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე არის განსაზღვრული.

კანდიდატებმა განცხადებიდან 7 დღის ვადაში უნდა წარადგინონ ცნობა ქონებრივი დეკლარაციის შესახებ.

კონკურსისი ჩატარების პროცესში აუცილებელია დაცული იყოს თანასწორობის პრინციპები, სქესთა, რასათა, რელიგიათა და პოლიტიკურ შეხედულებათა მიუხედავად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხუთი სამუშაო დღის ვადაში განიხილავს განმცხადებელთა დოკუმენტებს. ამასთან ერთად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვებ. გვერდზე აქვეყნებს განმცხადებელთა ბიოგრაფიულ ცნობებს რათა მათი ბიოგრაფია მაქსიმალურად საჯარო იყოს დაინტერესებულ პირთათვის.

მოსამართლეობის კანდიდატები ფასდებიან საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35^1 და 35^2 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმებით. [68] [69]

---

[65] საერთ სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 36-ე მუხლი, 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით.

[66] საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ პუნქტით გათვალისწინებულია დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება.

[67] „პირს რომელიც იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანის შემდგ უარს განაცხადებს მოსამართლის თანამდებობის დაკავებაზე უფლება არ აქვს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინოს განცხადება, სიის დამტკიცებიდან ხუთი წლის განმავლობაში“
საქართვეკის ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მუხლი 35, პუნქტი 2.

[68] საერთ სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 35^1 მუხლი, 2019 წლის 14 ივნისის მდგომარეობით.

მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები კი, რომელთაც სამ წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აქვთ 36^1 და 36^2 -ის საფუძველზე[70] 36^4 ით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს მათ საქმეთა შესწავლას.[71] ამ შესწავლის საფუძველზე შეფასებებისა და გასაუბრების დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს დამოუკიდებლად, წერილობითი ფორმით გამოაქვთ დასკვნა და წერენ შეფასებას.

საქართველოს საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს ყოფილ ან მოქმედ წევრებზე არ ვრცელდება ეს სისტემა, ისინი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით თანამდებობაზე უვადოდ ინიშნებიან.

მოსამართლეების თანამდებობაზე განიხილება მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმს სრულიად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებენ. ანუ ამ მისი მოპოვებული ქულები მინიმუმ საერთო ქულათა 70 პროცენტს შეადგენს.

3.3 საზოგადოების გამოხმაურება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ხარვეზების შესახებ დასავლეთში

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მოსამართლეები საქართველოშიც, 2014 წლიდან უვადოდ ინიშნებიან.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან მოსახლეობასა და პოლიტიკურ სექტორს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ამ მოვლენას ზოგი მათგანი აღიქვამს როგორც საფრთხეს, ზოგი კი სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტს. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოცემული კანონი ერთგვარ სიახლედ გვევლინება, მოსახლეობას აქვს პროტესტი, მაგრამ ქვეყნებში, რომლებშიც ეს კანონი უკვე მოქმედებს და მის შეცვლას და მოსამართლეთა ვადის შემცირებას ითხოვენ პროტესტს პირიქით, ეს მოთხოვნა იწვევს.

მაგალითისთვის მოვიყვან პოლონეთში მიმდინარე მოვლენებს.

---

[69] საერთ სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 35^2 მუხლი, 2019 წლის 14 ივნისის მდგომარეობით.

[70] საერთ სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 36^1, და 36^2 მუხლები, 2019 წლის 14 ივნისის მდგომარეობით.

[71] საერთ სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 36^4 მუხლი, 2019 წლის 16 ივნისის მდგომარეობით.

პოლონეთმა უზენაესი სასამართლოს ახალი რეფორმის წყალობით გადაწყვიტა მოქმედ მოსამართლეთა ორმოცი პროცენტის პენსიაში ნაადრევად გაშვება. რაც დამკვირვებელთა თქმით ქვეყნის ნაციონალისტური მთავრობის მიერ სასამართლოს კონტროლის კიდევ ერთი მცდელობაა.

ამ ინიციატივამ გამოიწვია საზოგადების დიდი პროტესტი და გამოსვლები პოლონეთში.

ახალი კანონის მიხედვით მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ასაკი 70 დან 65 წლამდე შემცირდა. რის გამოც 72 მოსამართლედან 27-ს ვადაზე ადრე მოუწია თანამდებობის დატოვება.[72]

უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებთან დაკავშირებით დანარჩენ ქვეყნებშიც ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რომლებიც მედიაში ვრცელდება. ჟურნალისტები და მკვლევარები ხშირად გამოთქვამენ კრიტიკულ აზრს, რაც სავსებით ლოგიკურია და სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ ქვეყნებში სამართალი და სამართლიანობა საკუთარ სიმაღლეზე დგას.

რიგ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილთა შორის არ გვიხსნებია, მედიისა და მკვლევართა ნაწილი ამბობს, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის კანონი იმ დროს გაჩნდა, როდესაც ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრად მცირე იყო, ამიტომ ისინი მსახურობდნენ გაცილებით ნაკლებ ხანს. ამჟამად კი, რადგან ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა, რაც თავისთავად ძალიან კარგია, უვადოდ დანიშნული მოსამართლეების წყალობით, რიგ, ძალიან ნიჭიერ ახალგაზრდა იურისტს არ ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, რადგან არ არსებობს ვაკანტური პოზიცია, რომლის დაკავებასაც ისინი შეძლებენ.

ასევე ავტორები აღნიშნავენ იმასაც, რომ უკვე ასაკში შესული მოსამართლეები აღარ წარმოადგენენ იმას, რასაც ისინი წარმოადგენდნენ გაცილებით ახალგაზრდა ასაკში, ამიტომ აუცილებელია მათ კომპეტენციის შეფასება, ან საპენსიო ასაკის დაწევა,[73] [74] თუმცა, რაც შეეხება საპენსიო ასაკის დაწევას, ზემოთხსენებული ამბავი მოწმობს თუ რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს სახელმწიფო იმ შემთხვევაში თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჩვენს შემთხვევაში ამ ცვლილებას, როგორც ნებისმიერ სხვას შეიძლება ჰქონდეს ორგვარი, ნეგატიური ან პოზიტიური შედეგი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა, გაზრდის მათ პროდუქტიულობას და რადგან, მრავალი წელია და

[72] https://www.pri.org/stories/2018-07-03/poland-forces-supreme-court-judges-early-retirement

[73]ADRIENNE LAFRANCE Down with Lifetime Appointments „Humans are living longer. That means judges are serving longer, too. “ NOV 12, 2013

[74] David Fishbaum, The Supreme Court Has a Longevity Problem, but Term Limits on Justices Won’t Solve It, Harvard Business Review, JULY 13, 2018

ახლაც აურაცხელი განსახილველი საქმე დევს თაროზე, რომელიც თავის რიგს ელოდება საჭირო იყო რაიმე ღონისძიების გატარება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. როგორც 2016 წელს მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, 2005 წელს, როდესაც სასამართლოები გაერთიანდა და საჭირო გახდა მოსამართლეებს სრული დატვირთვით ემუშავათ, ის დრო რომელიც მოსამართლის ვადის გასვლიდან ახლის დანიშვნამდე იყო საჭირო, მკვეთრად ამცირებდა პროდუქტიულობის ხარისხს და საქმეთა ნაწილი, რომლის გადაწყვეტასაც შესაძლოა დასჭირვებოდა ძალზედ მცირე ხანი გადაიდო განუსაზღვრელი დროით. მოსამართლეების უვადოდ დანიშნვნა კი, სავსებით ლოგიკურია რომ ხსენებულ პრობლემას მარტივად მოაგვარებდა.[75]

იურისტთა ნაწილი კი ამტკიცებს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ პრობლემათა უმეტესობას ვაწყდებით სწორედ იმიტომ, რომ მოსამართლეები დამოკიდებულნი არიან თუნდაც გარკვეული სახის ვადაზე და თუ ისინი იქნებიან ამისგან თავისუფალნი და დამოკიდებულნი იქნებიან მხოლოდ კანონის სწორ აღსრულებასა და მოსამართლის დისციპლინარულ ნორმებზე ისინი ბევრად უკეთ შეასრულებენ საკუთარ მოვალეობას.[76]

3.4 **რეკომენდაციები**

ჩემი აზრით ნებისმიერ ქვეყანაში და მითუმეტეს იმ სახის ორთოდოქსულ საზოგადოებაში, როგორიც საქართველოა, ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მკვეთრი ნეგატიური გამოხმაურება გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა საზოგადოების ინფორმირება და რეკომენდაციების გათვალისწინება.

პრობლემათა უმეტესობა უშუალოდ სიახლის არასწორად დანერგვისას იწყება ხოლმე. რაც არ უნდა დადებითად ხასიათდებოდეს რაიმე სახის ცვლილება, ერთმა არასწორად გადადგმულმა ნაბიჯმაც შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. შესაბამისად აუცილებელია, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნაც მოხდეს ყოველგვარი შეცდომის დაშვების გარეშე.

ვინაიდან და რადგანაც, საქმე ეხება სასამართლოს, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუტს ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მისი არაგამართული მუშაობა, ამიტომ აუცილებელია, თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლეები იყვნენ მიუკერძოებლები და ემორჩილებოდნენ,არა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას ან კერძო პირის ინტერესს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კანონს. ამიტომ, ალბათ მნიშნველოვანი იქნება მოხდეს, ვენეციის კომისიისა და

[75] https://www.youtube.com/watch?v=1yey2KVn0Sc

[76] ჟორჟოლიანი ბ. იგივე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოცემული მითითება. ისინი ამბობენ, რომ გამოსაცდელი სამი წლის განმავლობაში, ხდება უვადოდ დანიშვნის პრეტენდენტ მოსამართლეებზე ზეწოლა და მათი მორგება სახელმწიფოს თუ კერძო პირის ინტერესებისათვის.

ხშირად აღნიშნავენ, რომ თანამდებობის დაკავებას ახერხებს, მხოლოდ და მხოლოდ ის პირი, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში „ვინმეს“ ინტერესებს ითვალისწინებს.

ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ გაუქმდეს მოსამართლეთათვის გამოსაცდელი სამ წლიანი ვადა. რადგან როგორც განმარტავენ, სწორედ ამ სრულიად ფორმალურ სამი წლის განმავლობაში შეიძლება დაემუქროს საფრთხე მომავალი მოსამართლის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.[77]

დასკვნა

ზემოთ ჩვენ მიმოვიხილეთ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში შესული ცვლილებები მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შესახებ. ვინაიდან და რადგანაც ჩვენს მიერ შეჩეულმა თემამ დიდი გამოხმაურება მოიპოვა სამოქალაქო საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ სექტორში, მისით, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, თავად მოსამართლეებიც არანაკლებ არიან დაინტერესებულნი.

მოგეხსენებათ, გამომდინარე მძიმე ისტორიული წარსულიდან, ჩვენს ქვეყანას არცთუ ისე ძლიერი სასამართლო სისტემის ტრადიცია აქვს, რადგან თითოეულ ეტაპზე,

[77] ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. იგივე.

როდესაც ქვეყანა ასე თუ ისე ცდილობდა რაიმენაირად დაელაგებინა სასამართლო სისტემა და შეექმნა რაიმე სახის წერილობით კანონთა კრებული, სწორედ მაშინ ან ოდნავ მოგვიანებით შემოდიოდა ქვეყანაში მტრული დესტრუქციული ძალა და სისტემიდან ჩანაწერებამდე ყველაფერს ანადგურებდა.

როდესაც ქვეყანამ სული მოითქვა და ცხოვრების შედარებით მსუბუქ რიტმს დაუბრუნდა, საჭირო გახდა მრავალჯერ მიღებული, გამოუყენებელი კონსტიტუციის გამოყენება და ნორმალური სასამართლო სისტემის შექმნა, რომელიც გაიზიარებდა დასავლურ იდეალებსა და მისწრაფებებს. სწორედ დასავლური იდეალების მისაახლოებლად 2005 წელს დაწყებულმა სასამართლო რეფორმამ, როგორც ზემოთ მაგალითით დავადასტურეთ, ცხადად გამოაჩინა სასამართლო სისტემის ხარვეზები, კერძოდ გამოჩნდა, რომ მოსამართლეების ვადის გასვლიდან ახალი მოსამართლის დანიშვნამდე იკარგებოდა ძალზედ მნიშვნელოვანი დრო რომელიც შესაძლო იყო გამოსდგომოდა რიგში მდგომ საქმეებზე განაჩენის დროულ გამოტანას. შესაბამისად პირველად მაშინ დადგა საკითხი ქართული სამართლის სფეროს წინაშე, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი გაგვეთვალისწინებინა რიგ დასავლურ ქვეყანათა გამოცდილება და დაგვენიშნა მოსამართლეები უვადოდ.

ამ ინიციატივის გაჟღერებამ დასაწყისშივე დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია, რადგან რეალისტური იყო იმის საფრთხე, რომ მიკერძოებულ არადამოუკიდებელ მოსამართლეს დაეკავებინა მოსამართლის მანტია უვადოდ და უსამართლო სასამართლოს პირობებში სახელმწიფოს სწორი ფუნქციონირება დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ.

საჭირო გახდა მოცემული ინიციატივის გარკვეული დროის განმავლობაში თაროზე შემოდება და მეტად დეტალური გამოძიება და გამოკვლევა, იმის თუ როგორ შეგვიძლია მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნით მივიღოთ ამ მოვლენისგან მხოლოდ დადებითი.

დადგა 2014 წელი, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში დამუშავებული გეგმა განხორციელების ეტაპამდე მივიდა, თუმცაღა მოსახლეობაში და აკადემიურ თუ პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა შედარებით მეტად გამძაფრდა.

გაჩნდა მოსაზრება, რომ მოსამართლეთა უვადოდ განწესება მეტ წილად მიკერძოებით ხდება და შესაბამისად საფრთხეა იმის, რომ შეიძლება უვადოდ მივიღოთ მიკერძოებული სასამართლო სისტემა. გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ უვადოდ დანიშვნის პრეტენდენტებში არის ფავორიტიზმისა და მიკერძოების შემთხვევები, რიგ კანდიდატებს გამომცდელები უსვამენ ბევრად უფრო მარტივ შეკითხვებს და კეთილგანწყობილნი არიან მათთან ვიდრე სხვასთან.[78]

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც ხაზი გაუსვა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადისას დაშვებულ ხარვეზებს, რაც ზემოთ უკვე მრავალჯერ ვახსენეთ.

[78] http://coalition.ge/index.php?article_id=170&clang=0

ვენეციის კომისიაც აღნიშნავს იმ საჭიროებასა და საფრთეებს, რომელიც უვადოდ მოსამართლეთა დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს და ისიც გვაძლევს გარკვეული სახის რეკომენდაციებს, ვციტირებ:

„„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე მომზადებულ დასკვნაში3 ვენეციის კომისიამ გააკრიტიკა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა "არაუმეტეს სამი წლისა"“[79]

ვენეციის კომისიაც მიიჩნევს, რომ უმთავრესი და ამოსავალი წერტილი სასამართლოსი და მოსამართლის, სწორედ, რომ დამოუკიდებლობაა, რაშიც კითხვის ნიშნის შეტანამაც შეიძლება თავდაყირა დააყენოს სრულიად სახელმწიფო, ამიტომ ისინიც გვთავაზობენ რეკომენდაციას, რომ მოსამართლეების უვადოდ დასანიშნად გამოსაცდელი სამი წელი ამოვიღოთ იმ გზიდან, რომელიც მოსამართლეობის კანდიდატმა უნდა გაიაროს, რადგან ისინიც ამბობენ, რომ ეს სამი წელი სავსებით ფორმალურია და თანამდებობას იკავებენ მხოლოდ ის პირები, ვინც ამ სამი წლის განმავლობაში „ვინმეს“ ინტერესებს ითვალისწინებენ, არადა მოსამართლე ვალდებულია მხოლოდ კანონის წინაშე და მან უნდა იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.[80]

გარდა ამისა, როგორც დასავლური მედია აღნიშნავს, მოსამართლეების უვადოდ დანიშვის საკითხი პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდებისათვისაც, რომელმაც იურისტის პროფესია აირჩიეს და უვადოდ დანიშნული მოსამართლეების გამო მათ ნაკლები შანსი აქვთ კარიერული წინსვლის, თუმცაღა პროცესუალური ნორმების ნაკლებობის გამო იმ ქვეყნებში სადაც მოსამართლეები უვადოდ არიან დანიშნული ვფიქრობ წლობით თაროზე შემოდებული საქმეების რაოდენობა ბევრად მცირეა, ვიდრე ქვეყნებში, სადაც ყოველ წელს ახლიდანაა გასავლელი ყველა ის ღონისძიება, რომელიც მოსამართლეობის კანდიდატმა უნდა გაიაროს დანიშვნამდე.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში შესული ცვლილებები - მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შესახებ შესაძლებელია მივიჩნიოთ სასიკეთოდ ჩვენი სასამართლო სისტემისათვის, რომელსაც შეუძლია ის აურაცხელი ოდენობით გამოუტანელი განაჩენი გამოიტანოს, რომელიც ძველებური სასამართლო სისტემის პირობებში შესაძლოა წლობით დებულიყო თაროზე.

ის პერიოდი, რომელიც იკარგებოდა, პროცესუალური ღონისძიებებისათვის, მოხმარდება უშუალოდ საქმეს, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. თუმცაღა აღსანიშნავია ის

[79] ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, სტრასბურგი, 14 სექტემბერტი 2014 წ. გვ. 12-13

[80] ვენეციის კომისიის დასკვნა იგივე

საფრთხეები, რომელზეც ვენეციის კომისიამ მიგვითითა, აუცილებელია მკვეთრად გავატაროთ ყველა შესაძლო ღონისძიება იმისათვის, რომ უვადოდ დანიშნული მოსამართლეები იყვნენ მიუკერძოებლები და ემორჩილებოდნენ მხოლოდ კანონს, ამისათვის ვფიქრობ აუცილებელია ვენეციის კომისიისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზემოთ ნახსენები რჩევის გათვალისწინება და იმ ბლანკეტური სამ წლიანი გამოსაცდებლი ვადის ამოღება, რომელმაც ძალიან ბევრი უარყოთი გამოხმაურება გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული სამართლის ისტორია - ვ. მეტრეველი
2. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი.- ივ. ჯავახიშვილი
3. საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო ფურცელი, მოსამართლეთა დანიშვნა, მაკა ბიბილაშვილი, თბილისი, 24.04.2019 წელი.
4. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონები სასამართლოების შესახებ http://legislationline.org/topics/topic/9

5. ფინეთის სამოსამართლეო პროცედურების კოდექსი (Code of Judicial Procedure) (4/1734; amendments up to 718/2011 included): http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1734/en17340004.pdf
6. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შეტანის თაობაზე.
7. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა საქართველოში, როგორც სამომავლო გეგმა, ბესიკ ჟორჟოლაძე, საისტორიო ვერტიკალი N19, თბ. 2009,
8. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა- გვაზავა გ.
9. გამოსაცლელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასება და უვადოდ განწესება- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
10. Harvard Business Review
11. ADRIENNE LAFRANCE Down with Lifetime Appointments „Humans are living longer. That means judges are serving longer, too
12. ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე,
13. http://coalition.ge/index.php?article_id=170&clang=0
14. https://www.pri.org/stories/2018-07-03/poland-forces-supreme-court-judges-early-retireme
15. http://legislationline.org/topics/topic/9
16. იტალიის კონსტიტუცია.
17. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, (ძალადაკარგული).
18. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი(მოქმედი)
19. საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N3/1/659.
20. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 2017 წლის 16 ივნისის მდგომარეობით.
21. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, გამოცემის თარიღი: 8/12/2009, 2014 წლის მდგომარეობით.
22. ბიბილაშვილი, მ. საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო ფურცელი მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ 2015 წ.
23. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი.
24. 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემა, ბათუმი 2013 წელი.
25. ექვ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება
26. https://www.youtube.com/watch?v=1yey2KVn0Sc
27. https://harvardpolitics.com/united-states/supreme-court-politics-the-problems-causes-and-remedies/

28. ფინეთის სამოსამართლეო პროცედურების კოდექსი
29. The German Judiciary Act, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_drig/englisch_drig.html?fbclid=IwAR1Y-oHN20RFiIGkkEH6FYcCnF2ogz3PXEQkL3tcDkAr-9MmPgTBS__GLJg
30. იტალიის კონსტიტუცია, http://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf?fbclid=IwAR1ReigTaEZ39-6re7lzyLMm_R078CX8X0TNH7I24AqgDwTqzx8fov-FoHw
31. THE SWEDISH CODE OF JUDICIAL PROCEDURE, გამოცემის თარიღი: 1998 წელი. file:///C:/Users/Mr.Green/Downloads/28dd0388a098dbff9a8b1edac2485592.pdf